ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 24 თებერვალი, 2022 №39 (8817) ფასი: 60 თეთრი

პროკურორი ქობულაძე: „შანაი ბრუკის მკვლელობისას რაფაელ მურსაკულოვი თავის ქმედებას აცნობიერებდა“



გვ.5

„სააკაშვილმა ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა“

სოსო ცინცაძე: „ამერიკა უკრაინაში თავის ჯარებს არ შეიყვანს, მაგრამ უფრო მკაცრი სანქციები შეიძლებოდა“

გვ.3

გვ.3

„ჯანდაცვის მინისტრი თუ აცრილია, გამოაქვეყნონ“

ვატო სურგულაძე: „ამირან გამყრელიძე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მძევალია“

„პუტინმა აღარ ახსენა საქართველო, ჰგონია, რომ ის უკვე მისი გავლენის სფეროშია“

გვ.2

კორნელი კაკაჩია: „ვერ ვიტყოდი, რომ პუტინმა ბრძოლა წააგო. ის ეცდება, პატარა გამარჯვებების სერია გამოაცხოს და თავისი რეიტინგი გაზარდოს“

გვ.2

„რუსეთის მიმართ სანქციები მკაცრი უნდა იყოს“

ჩეხეთის პრემიერი გარიგებაზე ალაპარაკდა

გვ.4

„2007 წლის შემდეგ საქართველოში პირველად დაფიქსირდა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა“

ვლადიმერ ბოჟაძე: „ირაკლი ღარიბაშვილის მუშაობაში კარგად ჩანს, რომ მისთვის მნიშვნელოვანია, რა აწუხებს ჩვენს მოსახლეობას“

ბრიტანელი გამომძიებლები ნიკოლოზ ბასილაშვილის საქმეზე თბილისში ჩამოვიდნენ

გვ.5

გვ.5

ვახტანგ მაისაია: „პუტინისა და რუსეთის შეკავება ძალიან რთულია“

გვ.4

ISSN 1987-9385

4 ქუთაისის მეტალურგიულში ამიაკმა გაჟონა დაშავდნენ მუშები

2 შალვა პაპუაშვილი: „თვითგვემა ქართული პოლიტიკისა და მედიის სამწუხარო ტენდენციაა“

5 ეკატერინე კიკნაძემ თეა წულუკიანს უჩივლა

6 რუსეთის ექსპანსია დაიწყო: რა მოხდება შემდეგ?!

„პუტინმა აღარ ახსენა საქართველო, ჰგონია, რომ ის უკვე მისი გავლენის სფეროშია“

კორნელი კაკაჩია: „ვერ ვიტყოდი, რომ პუტინმა ბრძოლა წააგო. ის ეცდება, პატარა გამარჯვებების სერია გამოაცხოს და თავისი რეიტინგი გაზარდოს“

რამდენად მოსალოდნელი იყო პუტინის ნაბიჯი ლუგანსკისა და დონეცკის „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ აღიარების თაობაზე? რატომ არ წავიდა უფრო მეტზე? რას უნდა ველოდოთ დასავლეთისგან და რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველომ? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ დირექტორი და თანადამფუძნებელი კორნელი კაკაჩია საუბრობს.

იაგო ნაცვლიშვილი

– ბევრი ელოდა, რომ პუტინი აღიარებდა დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებს ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, თუმცა ბევრისთვის მაინც მოულოდნელი იყო. პუტინისგან ამას ელოდით თუ კიდევ უფრო მეტს?

– რაღაც რომ მოხდებოდა ამ მოვლენების ფონზე, მოსალოდნელი იყო, მით უმეტეს იმ ინფორმაციის მიხედვით, რომელსაც ჩვენ ვიღებდით დასავლეთისგან, რომ ეს ესკალაცია გარდაუვალი იყო, განსაკუთრებით ბოლო დღეებში. რაც შეეხება მოლოდინებს, როგორც მინიმუმ, ყველა ელოდა, რომ ეს იქნებოდა ტერიტორიების ანექსია, როგორც მოხდა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ბევრისა და ჩემი მოლოდინიც იყო, რომ შეიძლება ამ ტერიტორიებს გასცდენოდა. მათ შორის, იყო ასეთი მოლოდინებიც, რომ ზღვას მოსწყვიტოს უკრაინა და ჩავიდეს კიევამდე.

– რატომ არ წავიდა უფრო მეტზე და რამ შეაჩერა ის?

– იმის გარანტიას ვერავინ მოგცემთ, რომ ხვალ არ წავა უფრო მეტზე, იმიტომ, რომ პუტინის ქმედებები ლოგიკას არ ექვემდებარება და ასევე უნდა განვასხვაოთ, რომ, როგორც ჩანს, მარტო იღებს გადაწყვეტილებებს, ვინაიდან საუბრებმა უშიშროების წევრებთან აშკარად გამოკვეთა, რომ მისი ანტურაჟით ბოლომდე არ არიან ბედნიერები, იმიტომ, რომ საბოლოოდ მათაც უქმნის პრობლემებს, რადგან მათი ოჯახის წევრებიდან ზოგი დასავლეთში სწავლობს და ა.შ. ეს სანქციები მათაც აუცილებლად შეეხებათ. ამიტომ, გაურკვეველია, რამდენად უჭერს მხარს ეს ანტურაჟი მხარს ამ საქმეში. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ ვიცით, რას გადაწყვეტს პუტინი. ალბათ ის დაელოდება დასავლეთის რეაქციას ამ აღიარებასთან დაკავშირებით და შემდეგ თუ ნახა, რომ ამას არაფერი მოჰყვა იგივე ეკონომიკურად, არ დავარდა რუბლის კურსი და არ დაარტყა რუსეთის ეკონომიკას, მაშინ შეიძლება მეტისკენაც გაიწიოს. როგორიცაა ქართული გამოთქმა: „მადა ჭამაში მოდის“.

– ნიადაგი მოსინჯა ახლა?

– დიახ. სავარაუდოდ, ალბათ კრემლში კალკულაციებს აკეთებენ, რომ ის მოგება, რომელიც მათ შეიძლება მიიღონ შემდეგი ესკალაციისგან, გადააჭარბებს თუ არა იმას, რა ზარალიც შეიძლება მიიღონ მათ დასავლური სანქციებისგან. ეს კალკულაცია მათ მისცემს საშუალებას, რომელი გზა აირჩიონ და ამის შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას.

– ბუნებრივია, ომი გრძელდება, მაგრამ რა გამოჩნდა, ბრძოლა წააგო პუტინმა?

– ასე ვერ ვიტყოდი. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გარდა საერთაშორისო კონტექსტისა, ამ პრობლემას აქვს შიდარუსული კონტექსტი, ანუ ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პუტინისთვის. მისმა რეიტინგმა დაიკლო. ის ავტორიტარული ხელისუფლება, რომელიც მას აქვს, არაპოპულარულია, განსაკუთრებით ახალგაზრდებში და დიდ ქალაქებში. ის ახლა ცდილობს იმას, რასაც აქამდეც აკეთებდა, რომ პატარა გამარჯვებების სერია გამოაცხოს, რაც გაზრდის მის რეიტინგს. ეს ჩანს უკვე და მისი გამოსვლის შემდეგ მისი რეიტინგი საგრძნობლად აიწევს.

ჩვენდა სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენი მოლოდინისა, რუსი საზოგადოების უმრავლესობას მოსწონს პუტინის პოლიტიკა და ე.წ. შემოერთება.

– ამიტომ იყო მთელი ისტორიული ექსკურსი მის წინასიტყვაობაში?

– კი, რა თქმა უნდა. ზუსტად ეს იყო და პირდაპირ გულში გაარტყა. მათი კომპლექსია და ამაზე თამაშობს, ჩვენ უნდა დავიბრუნოთ დაკარგულიო. არა მხოლოდ საბჭოთა კავშირზე ამბობს, არამედ რუსეთის იმპერიას მიუბრუნდა. ამიტომ იყო, რომ ლენინი გააკრიტიკა მისი პოლიტიკის გამო და ა.შ., ანუ მისი ტაქტიკა უფრო ღრმაა, ვიდრე ჩვენ გვეგონა.

– დღეს თითქოს უფრო პრინციპული ჩანს ევროპა. გერმანიამ ჩრდილოეთი ნაკადი 2-ის სერტიფიცირება შეაჩერა. მაგრამ მთავარი კითხვა რჩება – ბოლომდე შეინარჩუნებს პრინციპულობას ევროპა თუ ისევ მოსალოდნელია, რომ გავა რაღაც პერიოდი, სიტუაცია დამშვიდდება და დაიწყებენ სანქციების შერბილებაზე ფიქრს?

– ეს ის შეკითხვაა, რომელიც ყველას აინტერესებს. სამწუხაროდ, ევროპაში არ არის ერთიანობა რუსეთთან მიმართებით. მაგალითად, გავიხსენოთ მაკრონის ბოლო ვიზიტი კრემლში, როდესაც მან ფაქტობრივად შესთავაზა და შემდეგ გადათქვა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ფინანსდიზაცია, რაც ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ უკრაინა, საქართველო და სხვა ქვეყნები უნდა არსებობდნენ შეზღუდულ პირობებში და რუსული დიქტატის ქვეშ. ეს მოსაზრებები საკმაოდ პოპულარულია დასავლეთის ექსპერტულ და პოლიტიკურ წრეებში. კიდევ კარგი, რომ ამას ყველა ქვეყანა არ იზიარებს, მაგალითად, ბრიტანეთი, აშშ და კიდევ რამდენიმე ქვეყანა. მაგრამ ევროპის ნაწილი, რუსეთთან ომის გარდა, ბევრი რაღაცისთვის არის მზად და, რამდენად გამოვა მათი პრინციპულობა, ამაზეა დამოკიდებული. მაგალითად, 2008 წელს ჩვენ ვნახეთ, რომ არ გამოვიდა ასე, მათმა პრაგმატულმა ინტერესმა გადააჭარბა და გამოჩნდა, რომ მათთვის რუსული ბაზარი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პატარა საქართველო.

– საქართველომ რა უნდა გააკეთოს ამ ვითარებაში? პუტინის ამ აღიარების შემდეგ თითქოს ცოტა უფრო მაღალი ხმა გაისმა ჩვენი ხელისუფლების. არის ეს იმედისმომცემი და იგივე ბრიტანეთი ახსენეთ – რა პოზიცია უნდა ჰქონდეს ბრიტანეთ-პოლონეთ-უკრაინის უსაფრთხოების ფორმატთან მიმართებით?

– მაგაზე ჩვენს ორგანიზაციაში დავწერეთ პოლიტიკის დოკუმენტი. მანდ საუბარი იმაზეც გვაქვს, რასაც ახლა კითხულობთ, რომ საქართველო აქტიურად უნდა ჩაერთოს სამი ტრიუმირატის საქმიანობაში. მართალია, ბოლომდე არ არის გარკვეული ამ ფორმატის ბედი, მაგრამ საქართველო უნდა ეცადოს საკუთარი დღის წესრიგის გააქტიურებას. თავისი ფინლანდიზაციის ანუ ფინეთიზაციის პოლიტიკით საქართველო ნელ-ნელა ჩამოვიდა საერთაშორისო დღის წესრიგიდან. თუ მანამდე საქართველო და უკრაინა ერთად მოიაზრებოდა, ახლა ასე აღარ არის. ახლა უკვე პუტინმაც კი აღარ ახსენა საქართველო, ჰგონია, რომ საქართველო უკვე არის მისი გავლენის სფეროში. ამის კარგი ინდიკატორი იყო ლავროვის ბოლო განცხადება, როდესაც მან თქვა, რომ საქართველოსგან ისინი მოელიან ბალანსირებულ პოლიტიკას უკრაინასთან მიმართებით.

საქართველო ნახევარ ნაბიჯებს დგამს, მაგრამ ფორმალურად რასაც ელოდნენ ჩვენი ხელისუფლებისგან, ისიც კი არ გაუკეთებიათ, მაგალითად, არ ჩასულა უკრაინაში ჩვენი დელეგაცია სოლიდარობის გამოსაცხადებლად. საერთაშორისო ფორუმებზე მხარდაჭერა ნაწილობრივ კი არის, მაგრამ რეაგირების რეჟიმში უფროა და გამომდინარეობს ქართველი საზოგადოების ზეწოლიდან. აქედან გამომდინარე, აქვს არსებობის უფლება მოსაზრებას, რომ დღეს საქართველოს საგარეო პოლიტიკა უკრაინასთან მიმართებით არ ემთხვევა საზოგადოებრივ აზრს, ანუ საზოგადოება ყველანაირად მხარს უჭერს უკრაინას, მაგრამ ხელისუფლება ატარებს სხვა პოლიტიკას, ანუ აგრძელებს რუსეთის არგაღიზიანებას, რასაც პრაგმატულს ეძახის.

– მაგრამ ახლა ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ არ მოუწევთ უფრო აქტიური ნაბიჯების გადადგმა?

– არ ვიცი, მაგაში არ ვარ დარწმუნებული. ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ საქართველო ნელ-ნელა მიდის ფინლანდიზაციის მოდელისკენ, რაც რუსეთს უნდა.

„რუსეთის მიმართ სანქციები მკაცრი უნდა იყოს“

ჩეხეთის პრემიერი გარიგებაზე ალაპარაკდა

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის მიერ დონბასისა და ლუგანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებას კრემლის წინააღმდეგ მთელი რიგი სანქციები მოჰყვა. ამასთან, ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ისინი არასაკმარისი და რბილია. საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ აშშ-ის მიერ დამტკიცებული სანქციები სიმბოლურია.

ამ ეტაპზე გაყინულია რუსეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გაზსადენის, „ჩრდილოეთი ნაკადი 2“-ის სერტიფიცირება. გერმანიის ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი გადადგა. გერმანელი ანალიტიკოსები ამას არასაკმარისად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ რუსეთის შეკავება დასავლეთის ერთიანი მიდგომითა და სიმკაცრით შეიძლება.

– ახლა მთავარია მკაფიო სიგნალი, რომ დასავლეთს შეუძლია, შორს წავიდეს. თუ სანქციები სუსტი იქნება, დაშინების ტაქტიკა არ იმუშავებს, – აღნიშნავს ანალიტიკოსი კლუგე.

იგი არ გამორიცხავს, რომ დონბასის რესპუბლიკების აღიარებას რუსეთმა დიდი ომი მოაყოლოს:

– რუსეთს აქვს მოვლენების შემდგომი განვითარების სცენარები. არ უნდა გამოირიცხოს დიდი და სისხლისმღვრელი ომი, რისი თავიდან აცილებაც უნდა მოხდეს.

ანალიტიკოსი კიუნი მიიჩნევს, რომ გერმანიამ სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს და შემდგომი ესკალაციის შემთხვევაში „ჩრდილოეთი ნაკადი 2“ არასოდეს აამოქმედოს.

ანალიტიკოს მაისტერის აზრით, ლუგანსკისა და დონეცკის რესპუბლიკების აღიარებით რუსეთი დაემშვიდობა საერთაშორისო ნორმებს.

ალბათ, ექსპერტს გამორჩა, რომ 2008 წელს კრემლი ზუსტად ასე მოიქცა საქართველოს მიმართ, დასავლეთის რეაქცია კი იმაზე უფრო ბევრად სუსტი იყო, ვიდრე ახლა.

მაისტერის შეფასებით, ამერიკელები და ევროპელები მზად არ არიან რუსეთის ზრახვებისათვის, კერძოდ, არ არიან მომზადებული რუსეთის მხრიდან საომარი მოქმედებებისათვის და იმისთვის, რომ რუსეთი არ აკეთებს ორიენტაციას საერთაშორისო სამართალზე. თუ სანქციები მკაცრი არ იქნა, რუსეთის ხელისუფლება „მეტს წაიღებს“.

გერმანელი ექსპერტები აკრიტიკებენ გერმანიის ხელისუფლების ბოლოდროინდელ ნაბიჯებს და არასწორად თვლიან იმას, რომ გერმანია უარს ამბობს უკრაინისათვის შეიარაღების მოწოდებაზე. მათი აზრით, გერმანიამ უნდა გადახედოს თავის როლს უსაფრთხოების საკითხებში.

ჩეხეთი თანადგომას უცხადებს უკრაინას. ამასთან, პრაღაში გამოთქვამენ ეჭვს – ხომ არ ხდება გარიგება უკრაინის თაობაზე?

ჩეხეთის პრემიერ-მინისტრი ფიალა მხარს უჭერს თავისუფალ და დამოუკიდებელ უკრაინას და იხსენებს ჩეხოსლოვაკიის გარშემო 1938 წელს განვითარებულ მოვლენებს. მისი თქმით, მაშინ მოხდა მიუნხენის გარიგება – დიდი ბრიტანეთი საფრანგეთთან ერთად გაურიგდა გერმანია-იტალიას. ამის შედეგად ეს ქვეყანა დაიშალა. გაყოფაში მონაწილეობდნენ ასევე პოლონეთი და უნგრეთი.

ჩეხეთში დონბასის მიმართ გამოჩენილ „ძმურ“ დახმარებასთანაც ავლებენ პარალელს და იხსენებენ ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს შეყვანილ ტანკებს „ძმური“ დახმარების ეგიდით.

– ჩეხეთი რომ ნატოს წევრი არ იყოს, საფრთხე ახლაც დაგვემუქრებოდა, – ამბობენ ჩეხი კანონმდებლები.

ფრანგი ანალიტიკოსები პროგნოზირებენ, რომ პუტინი ბირთვული პოტენციალის მქონე იარაღს, ასევე საშუალო სიშორის რაკეტებს ბელარუსში განალაგებს. ამის წინაპირობაა ბელარუსში 27 თებერვალს დანიშნული რეფერენდუმი კონსტიტუციის შეცვლის თაობაზე. ახალი კონსტიტუციით მინსკი მოიხსნის არაბირთვული სახელმწიფოს სტატუსს. პუტინს ეს ვარიანტი უკიდურესი მომენტისთვის ექნება გადანახული.

თეთრი სახლი აღმოსავლეთ უკრაინაში „მწვანე კაცუნების“ გამოჩენაზე ალაპარაკდა. უმუნდირო რუსი სამხედროები ფარულად ყირიმის დაპყრობის დროსაც ფიგურირებდნენ.

რუსეთი თავის დაჯგუფებებს უკრაინაში სამშვიდობოებს ვერ დაარქმევს. გაეროს გენმდივანი გუტერიში აცხადებს, რომ არ აღიარებს რუს სამხედროებს სამშვიდობო ძალებად, თუ ისინი უკრაინაში შევლენ.

წესით, აღმოსავლეთ უკრაინაში ვერც „ოდკბ“-ს ძალები შევლენ. ამ ორგანიზაციის სამხედრო ან სამშვიდობო კონტინგენტი შედის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოში.

უკრაინა მისი წევრი არ არის, თუმცა „სახალხო“ რესპუბლიკების აღიარებამდე „ოდკბ“-ს გენმდივანმა განაცხადა, რომ იქ ძალების შეყვანა შეუძლიათ უკრაინის თხოვნისა და გაეროს მანდატის არსებობის შემთხვევაში.

შალვა პაპუაშვილი: „თვითგვემა ქართული პოლიტიკისა და მედიის სამწუხარო ტენდენციაა“

– თვითგვემა და საკუთარი ხელისუფლების პოზიციის დაკნინება ქართული პოლიტიკისა და მედიის სამწუხარო ტენდენციაა.

ასე უპასუხა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა კითხვაზე, უკრაინის გარშემო მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ რატომ არ ხდება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების ოკუპაციისა და 2008 წლის ომთან დაკავშირებული საკითხების გააქტიურება.

როგორც პაპუაშვილმა განაცხადა, როდესაც უკრაინის ორი რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება მოხდა, საქართველოს ხელისუფლების პირველი განცხადებები სწორედ იმას შეეხებოდა, რომ ადგილი ჰქონდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განხორციელებული პოლიტიკის განმეორებას.

– საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა პირველმა გააააქტიურეს საკითხი და პარალელები იმასთან, რაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში 2008 წელს მოხდა. სამწუხაროა თვითგვემის პოზიცია, რომლის დამკვიდრებას ჩვენი ზოგიერთი პოლიტიკოსი ცდილობს. ეს აჩვენებს, თუ რამდენად ფარისევლური და არაგულწრფელია მათი პოზიციები საკუთარი სამშობლოსა და ხელისუფლების მიმართ, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

მისივე თქმით, უკრაინაში მიმდინარე პროცესებთან საქართველოს უსაფრთხოების საკითხები თავისთავად არის დაკავშირებული.

– ამიტომაც მკაფიოდ მოვუწოდებთ საერთაშორისო თანამეგობრობას, იყვნენ მტკიცენი და ცხადი საკუთარ გადაწყვეტილებებში, ვინაიდან უკრაინელ ხალხთან დაკავშირებულია ქართველი ხალხისა და საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხები, – აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სააკაშვილმა ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა“

სოსო ცინცაძე: „ამერიკა უკრაინაში თავის ჯარებს არ შეიყვანს, მაგრამ უფრო მკაცრი სანქციები შეიძლებოდა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, მიხეილ სააკაშვილი კვლავ უვადოდ შიმშილობს. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეძლებს ამჯერად მიზნის მიღწევას?

– რთული სათქმელია. ამით სააკაშვილი ცდილობს ყურადღების მიქცევას. ეს უკვე ძალიან სარისკო შიმშილობაა. ამ ძალიან სარისკო ნაბიჯით ის პირდაპირ ხელისუფლებას აყენებს ულტიმატუმის წინაშე, რომ მთავრობამ რაღაც ზომები მიიღოს.

– გამოუვა?

– ვერ გეტყვით, რადგან ძალიან რთული საერთაშორისო პროცესები ემთხვევა ამ ყველაფერს. ვხედავთ, რაც ხდება უკრაინაში, მთელ დასავლეთში. ახლა ყველას უკრაინა და პუტინის შემდეგი ნაბიჯები აღელვებს. ამიტომ ახლა მთელი კონცენტრაცია სხვაგანაა.

– ამ საკითხზე რომ ვისაუბროთ, პუტინი ე.წ. აღიარებას დასჯერდება?

– ამ ეტაპზე პუტინმა მიზანს მიაღწია. ამერიკული დაზვერვის ინფორმაციამ მაინცდამაინც ვერ გაამართლა. ბაიდენი ყოველდღე მსოფლიოს ეუბნებოდა, რომ რუსეთი 16-ში იწყებდა ომს, შემდეგ – 18-ში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზუსტად იგივე გაიმეორა, რაც საქართველოში, აღიარა ორივე რეგიონი. თითქოს დასავლეთს ეს გამოეპარა. თითქოს აქ მოუგო პუტინმა ბაიდენს.

რაც შეეხება იმ სანქციებს, რომლებიც ამერიკამ დააწესა, ეს არ არის ის სანქციები, რომლებიც პუტინს შეაშინებს და შეაჩერებს. თუ სანქციები შეეხებოდა კონკრეტულად რუს ოლიგარქებს, მათ ბიზნესებს, მაშინ ეს სხვა ეფექტს მოახდენდა, თვითონ ის ოლიგარქები გააქრობდნენ პუტინს, მაგრამ ჟირინოვსკისა და ზიუგანოვისთვის ანუ რადის დეპუტატებისთვის სანქციების დაწესება არაფერს არ ნიშნავს. რადის დეპუტატებს ამერიკაში არც არაფერი არ აქვთ. აბსოლუტურად გასაგებია, რომ მესამე მსოფლიო ომს არავინ არ დაიწყებს. ისიც გასაგებია, რომ ბაიდენი არც კენედია და არც ნიქსონი. მათ, ცხადია, სულ სხვა ქარიზმა და გამბედაობა ჰქონდათ, მაგრამ პუტინი გრძნობს, რომ პირადად მას არანაირი სანქცია არ ელოდება და ბაიდენი ამაზე არ წავა.

– გერმანიის მიერ ჩრდილოეთი ნაკადი 2-ის შეჩერება რა გავლენას მოახდენს რუსეთის ეკონომიკაზე?

– შეჩერდა, კი არ გაუქმებულა. თუ ცხელი ფაზა გადაივლის და ეს კონფლიქტიც ისე გაიყინება, როგორც ჩვენს შემთხვევაში მოხდა, ჩრდილოეთი ნაკადი 2-ც განახლდება და სხვა ეკონომიკური ურთიერთობებიც. დასავლეთისთვის რუსეთი დიდი ბაზარია, განსაკუთრებით – გერმანიისთვის. რუსული ბაზრის დაკარგვას არავინ დაუშვებს.

– მედვედევი უკვე დაემუქრა ევროპას. ალტერნატიულ წყაროებზე რას იტყვით, რაზეც უკვე არის საუბარი?

– რაც შეეხება მედვედევის განცხადებას, რომ ევროპას ერთ კუბურ მეტრ გაზში ორი ათასი ევროს გადახდა მოუწევს, ზღაპარია. გერმანიამ უკვე იზრუნა ალტერნატიულ წყაროებზე. თხევად გაზზეა საუბარი და ამაში ამერიკა ეხმარება. ძალიან დიდ ფინანსურ რესურსებზეა საუბარი, მაგრამ დასავლეთმა ერთხელ და საბოლოოდ უნდა მოახდინოს გაზის დივერსიფიცირება. ევროპამ გაზის ალტერნატიული წყარო უნდა შექმნას.

– მეტის გაკეთება შეეძლოთ?

– თვითონ ევროპელი ანალიტიკოსები ამბობენ, რომ უფრო მკაცრი სანქციები უნდა ყოფილიყო, განსაკუთრებით – ამერიკის მხრიდან. თუმცა ევროკავშირში, გასაგებია, რომ კონსენსუსით ხდება გადაწყვეტილების მიღება. 28 წევრი სახელმწიფოა, ყველა თავისი გადასახედიდან მსჯელობს. იტალია, სხვა ქვეყნები – ყველას თავისი ინტერესი აქვს. სიმართლე გითხრათ, ამერიკის მხრიდან უფრო მკაცრ სანქციებს ველოდი.

– რატომ არ არის?

– როგორც ჩანს, მაინც წინდახედულობას იჩენენ და ცეცხლზე ნავთს არ ასხამენ. ვიმეორებ, მესამე მსოფლიო ომი არავის არ უნდა. გასაგებია, რომ ამერიკა უკრაინაში თავის ჯარებს არ შეიყვანს, მაგრამ უფრო მკაცრი სანქციები შეიძლებოდა, თუნდაც პუტინის უახლოესი გარემოცვისთვის, ოჯახის წევრებისთვის. ამას შეიძლება გავლენა მოეხდინა. თუმცა ფართომასშტაბიანი შეჭრა არ იქნება. ე.წ. აღიარებით პუტინმა, შეიძლება ითქვას, მიზანს მიაღწია, ზუსტად ერთი ერთში იმოქმედა, ცხადია, საქართველოსთან პარალელს ვგულისხმობ, რაც კიდევ ერთხელ გამოეპარა დასავლეთს. ახლა როგორ აღადგენს ტერიტორიულ მთლიანობას უკრაინა, ეს ძალიან რთული სათქმელია. პუტინმა ამჯერად შუაგულ ევროპაში გახლიჩა სახელმწიფო. ეს კრიზისი ყოველდღე მილიარდ დოლარამდე რომ უჯდება უკრაინას, ამაზე აღარაფერს ვამბობ.



„ჯანდაცვის მინისტრი თუ აცრილია, გამოაქვეყნონ“

ვატო სურგულაძე: „ამირან გამყრელიძე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მძევალია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ჯანდაცვის საკითხებში ვატო სურგულაძე პასუხობს.

– ბატონო ვატო, როგორია თქვენი შეფასებები პანდემიურ სიტუაციასთან დაკავშირებით? საკოორდინაციო საბჭომ ბევრი რეგულაცია შეამსუბუქა და ბევრიც საერთოდ მოხსნა. ბევრი მიიჩნევს, რომ ეს ძალიან სახიფათოა. უნდა მოეხსნათ ეს რეგულაციები?

– ამ ყველაფერს რომ ვუყურებ, ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ საქართველოში კი არა, დანიაში ვცხოვრობ, სადაც უკვე 70-80% ბუსტერით არის აცრილი, მეორე დოზით კი არა და იქ პრაქტიკულად ყველა შეზღუდვა მოიხსნა. არ მოხსნილა ეს შეზღუდვები არც გერმანიაში, არც ავსტრიაში, არც საფრანგეთში, მაგრამ საქართველო ხსნის. ეს არის ჩვენი უვიცობის, სრული პოპულიზმის ბრალი, რომელსაც ეწევა ჩვენი პრემიერ-მინისტრი. ჩვენ ვაქცინაციის ძალიან დაბალი მაჩვენებელი გვაქვს.

– 40%-ია თუ ოდნავ მეტი.

– ოდნავ ასცდა, მაგრამ, გააჩნია, როგორ დავითვლით. ესენი ითვლიან 18 წლიდან და ზევით. რეალურად 12 წლიდან კეთდება აცრა და სწორედ აქედან უნდა დაითვალონ. შესაბამისად, ეს რიცხვი გაცილებით დაბალი იქნება პროცენტებში.

– რას ემსახურება ეს ყველაფერი, რას ნიშნავს პრემიერის ეს განცხადებები?

– ეს არის პოპულიზმი, ანტივაქსერული აზროვნება და განწყობილება. ვერ გავიგეთ ვერანაირად, საგულდაგულოდ გვიმალავენ, ახალი მინისტრი აცრილია თუ არ არის აცრილი. როცა ე.წ. მინისტრის მოადგილეს ჰკითხა ჟურნალისტმა, აცრილია თუ არა ჯანდაცვის ახალი მინისტრიო, ეს პირადი ინფორმაციაა და საიდუმლოაო. რა საიდუმლოა, პირიქით, თუ აცრილია, თქვი, რომ აცრილია და ამით წაახალისებ ვაქცინაციის პროცესს.

– დიდი ვარაუდით, აცრილი არ არის და ამიტომ დამალეს?

– დიდი ვარაუდით კი არა, 100%-ით არ არის აცრილი. მაშინ ამას აუცილებლად იტყოდნენ და გამოაქვეყნებდნენ ყველგან. დღეს სიტუაცია საკმაოდ მძიმეა. კი, ახლა წავიდა ქვევით, მაგრამ 10 ათასი შემთხვევა, იცით, რატომ იყო? იმიტომ, რომ სულ 40 ათასი ტესტი იყო გაკეთებული. აბა გაეკეთებინათ 80 ათასი, ისევ 20 ათასი იქნებოდა. მით უმეტეს ძალიან დიდი შეცდომაა ამ შემთხვევაში კოვიდსასტუმროების გაუქმება. მე თავის დროზე არ ვიყავი მომხრე, არასწორად კეთდებოდა, მაგრამ ძლივს აეწყო ეს სისტემა, მეტნაკლებად კარგად და ახლა გააუქმეს. დავუშვათ, დაემართა ახალგაზრდას, სახლში მოხუცი ბებია ჰყავს და არ აქვს იზოლაციისთვის შესაბამისი ფართი, რა უნდა ქნას იმ ახალგაზრდამ, მოხუცებს უნდა გადასდოს?! ეს არის აბსოლუტურად ანტივაქსერული მოძრაობის გამარჯვება. ეს არის ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის განუვითარებლობის ბრალი. პირდაპირ ვამბობ, ჩვენ ვართ განუვითარებელი და ძალიან დაბალი განათლების დონის ქვეყანა. კი, სხვაგანაც ხდება, კანადაში გადაკეტეს გზები მძღოლებმა, არის პროტესტი, მაგრამ კანადაში მოსახლეობის 80%-ია აცრილი და არა 40%. იქაც არიან, რა თქმა უნდა, ანტივაქსერული მოძრაობის წევრები, მაგრამ ადგა კანადის პრემიერ-მინისტრი და ყველა დააპატიმრა, ვინც ქუჩაში პროტესტით გამოვიდა. ჩვენ ჯერ არა ვართ მზად რეგულაციების შემსუბუქებისათვის.

– ისეთი განწყობა შექმნეს საზოგადოებაში, თითქოს პანდემია დასრულდა. შეიძლება, მალე პირბადის ტარების რეგულაციაც მოიხსნასო.

– ამათ რომ ჰკითხო, დასრულდა. ეს არის სუფთა პოპულისტური გადაწყვეტილებები და განცხადებები. დარწმუნებული ვარ, საკოორდინაციო საბჭოში შემავალი ჯანდაცვის ნაწილი ამ გადაწყვეტილებების წინააღმდეგია, მაგრამ ვერ ეწინააღმდეგებიან ამ ე.წ. პრემიერს. არ შეიძლება ისეთი განცხადებების კეთება, რასაც აკეთებენ საკოორდინაციო საბჭოზე, ჩვენს ქვეყანაში ადრეა ჯერ ამის გაკეთება. ყოველდღე ვაწარმოებ დაკვირვებას, ახლაც ვაკვირდებოდი ქუჩაში, დაახლოებით 50 კაცი დავითვალე და არც ერთს პირბადე არ ეკეთა. კი, ახლა დაიკლებს შემთხვევების რაოდენობა და წამოვა ქვევით, მაგრამ ჩვენ არა ვართ დაზღვეული, რომ არ გამოჩნდება ახალი შტამი და არ გვექნება მეშვიდე თუ მერვე ტალღები. გუშინ კიდევ 47 კაცი გარდაიცვალა, მეგობრებო.

– არ იკლებს გარდაცვლილთა რიცხვი, არადა, მარტივი შტამია ომიკრონიო.

– არ არის მარტივი შტამი. ეს შტამი იწვევს პოსტკოვიდურ სინდრომს, განსაკუთრებით ბავშვებში, მეხსიერების დაქვეითება, ფსიქიკური აშლილობები, უამრავი პრობლემა ახლავს. რაც ასევე ძალიან მთავარია, პოპულაციური, ე.წ. ჯოგური იმუნიტეტი არ გამომუშავდება. მესამედ და მეოთხედ ემართებათ ადამიანებს. ვაქცინირებულები კი უფრო ნაკლებად ავადდებიან, ნაკლებად ხვდებიან საავადმყოფოში და იშვიათად იხოცებიან. არ მუშავდება ეს პოპულაციური იმუნიტეტი, რომ გადავიტანოთ დაავადება და აღარ დაგვემართოს. ხალხს მეოთხედ ემართება, რაზე ვლაპარაკობთ საერთოდ. ხვალ რას მოიმოქმედებს ეს ვირუსი, როგორი მუტაცია ექნება, არავინ იცის. ახლა წავიდა ქვევით, მარტო ჩვენთან არა, მთელ მსოფლიოში წავიდა ქვევით. ესეც ეპიდემიის თანმდევია, ჯერ წავა ზევით, მერე ჩამოვა ქვევით. აპრილში შეიძლება კიდევ დაგვარტყას ერთმა ტალღამ. კიდევ გვეყოლება გარდაცვლილები. ჯანდაცვის უწყების ამოცანა ის კი არ უნდა იყოს, რომ ყველას დაემართოს, არამედ ის, რომ ადამიანი არ გახდეს ავად და, თუ გახდება, მსუბუქ ფორმებში გადაიტანოს. რა ვქნა, რომ არაფერი ესმით?! ებრაელებს აქვთ წყევლა – შენი არ იცოდე და სხვისი არ გესმოდესო. სწორედ ასეა ეს მთავრობა დაწყევლილი. გამყრელიძე რომ დაგვპირდა, ივნისში 70%-ზე ავალთ აცრილებითო, ვეღარ ავალთ ამ განცხადებების მერე. ჭკვიანი კაცია გამყრელიძე, პატივს ვცემ, მაგრამ ის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მძევალია. აღარავინ იცრება. ბუსტერდოზის გაკეთებას ვინც აპირებდა, იმათაც თქვეს, პანდემია თუ დასრულდა, ზედმეტი აცრა რად გვინდაო. აი, ეს მოიტანა ამ უაზრო და პოპულისტურმა განცხადებებმა. ეს განცხადებები სწორედ ვაქცინაციის პროცესს ურტყამს.

– ვაქცინის შემოტანის პრობლემაც ხომ არ არის? შემოვა ფაიზერის ახალი პარტიები?

– ვაქცინის პრობლემა ნამდვილად არ არის. ახალი პარტიაც საკმაოდ მალე შემოვა. რაც კეთდება, იმაზე ვერ ვიტყვი, რომ არ კეთდება. ყველაზე დიდი პრობლემა რეგიონებში გვაქვს. ძალიან დაბალია ტემპი. როგორღა მოვუწოდო ხალხს ვაქცინაციისკენ, როდესაც გამოდის პრემიერი და ამბობს, ვაქცინაცია არ შველისო. ხელის შეწყობის ნაცვლად ხელს უშლიან ამ პროცესს.

– პრემიერი ანტივაქსერულად განწყობილი მოსახლეობის გულის მოგებას ცდილობს?

– კი, ასეა. რადგან ძალიან დაბალია ამ მხრივ მოსახლეობის განათლების დონე და არც არავინ იზრუნა ამ კუთხით მოსახლეობის განათლებაზე, ბევრს სჯერა იმის, რასაც ეს ე.წ. პრემიერი აცხადებს. ეს არასწორი გზავნილები, რომლებიც სახელისუფლებო სტრუქტურებიდან მოდის, დანაშაულიც კია. პასუხისმგებელი პირი რომ ხარ, ყველა შენს სიტყვასა და გზავნილს, მიმიკასაც კი უნდა დაუკვირდე, მით უმეტეს ამდენი ანტევაქსერულად განწყობილი მოქალაქე როცა გყავს. ამდენი ადამიანი გვიკვდება ყოველდღე და დაფიქრდეს ხელისუფლება! ამაში კი დამნაშავეა მთავრობა. ამას პირდაპირ ვამბობ, მაგათი უნიათობით იღუპება ამდენი ადამიანი. თითქმის 17 ათასი ადამიანი დავკარგეთ. ცოტა მეტად დაფიქრდნენ, ვიდრე რამეს იტყვიან.

ნაციონალური მოძრაობა 5 მარტს რუსთაველის გამზირზე აქციას გამართავს

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 5 მარტს, 17:00 საათზე, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საპროტესტო აქციას გამართავს. ამის შესახებ პარტიის თავმჯდომარე ნიკა მელიამ პოლიტსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

გარდა ამისა, ნიკა მელიას თქმით, ყოველდღიურად სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის საპროტესტო აქტივობები სხვადასხვა ქალაქში გაიმართება.

მელიას თქმით, პარტიის ყველა აქტივობა დაუკავშირდება მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლის გადარჩენას.

როგორც ოპოზიციონერმა ლიდერმა აღნიშნა, მედიკოსების შეფასებით, მიხეილ სააკაშვილის მკურნალობა საქართველოში ვერ ხერხდება და ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მისი გაყვანა მნიშვნელოვანია.

„გაიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს სხდომა, სადაც გადაწყდა, რომ პარტიის ცენტრალური საკითხი არის მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლის გადარჩენა.

სახალხო დამცველის მიერ შექმნილი მედიკოსთა კონსილიუმი, ცენტრი „ემპათია“, უცხოელი ექიმები, მიხეილ სააკაშვილის პირადი ექიმი ერთხმად აღნიშნავენ, რომ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც დღითიდღე მძიმდება, სამწუხაროდ, არ ექვემდებარება საქართველოში განკურნებას. აქედან გამომდინარე, ერთადერთი გზა მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლის გადარჩენის არის შემდეგი: მიხეილ სააკაშვილი იყოს გადაყვანილი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, უცხოურ კლინიკაში შესაბამისი მკურნალობის მისაღებად. ძალიან დასანანია, რომ ამ ჰუმანიტარული საკითხის გამო გვიწევს პოლიტიკური ბრძოლა – პარტიის ყველა აქტივობა დაუკავშირდება მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლის გადარჩენას. ჩვენ ვიყავით ბრძოლაში და ვრჩებით ბრძოლაში, ვიდრე არ იქნება უზრუნველყოფილი მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რაც, მიმაჩნია, არის ჩვენი პარტიის თითოეული წევრის, ამომრჩევლის ცენტრალური საკითხი.

ყოველდღიურად სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის საპროტესტო აქტივობები სხვადასხვა ქალაქში გაიმართება და 5 მარტს 17:00 საათზე, ქვეყნის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც თვლის, რომ ეს ისტორიული უსამართლობა უნდა დასრულდეს და ამ ბრძოლაში არიან, ველოდებით რუსთაველის გამზირზე“, – განაცხადა ნიკა მელიამ.

„პუტინისა და რუსეთის შეკავება ძალიან რთულია“

ვახტანგ მაისაია: „ძალიან რთული სიტუაციაა. ღმერთმა ნუ ქნას და, თუ აგრესია მოხდა, შეიძლება, კიდევ ისეთი ძალები გაჩნდნენ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.



– ბატონო ვახტანგ, პუტინმა რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვია, გამრუდებული ისტორია წარმოგვიდგინა და მუქარების შემდეგ უკრაინის ტერიტორიების, ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკების ეწ. დამოუკიდებლობა აღიარა, შემდეგ ლუგანსკში ჯარის შეყვანა დაიწყო. როგორ აფასებთ პუტინის ამ გადაწყვეტილებას, მოვლენების როგორ განვითარებას ელოდებით?

– ამ სცენარის პროგნოზი ჯერ კიდევ იანვარში დავდე, უკრაინის მიმართულებით რუსეთის სამხედრო სტრატეგიის კვლევა გავაკეთე და ვთქვი, რომ რუსეთი უკრაინას შეუტევდა ლუგანსკისა და დონეცკის სეპარატისტული რეგიონებიდან. სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზი გამართლდა.

21 თებერვალს პუტინმა საქართველოს გამოცდილება გაიმეორა. განსხვავება ისაა, რომ პუტინი ახლა აპირებს, ის პლაცდარმი, რომელიც მან ლუგანსკისა და დონეცკის რეჟიმების სახით შექმნა, კიდევ გააფართოვოს, მოახდინოს დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონების მთლიანად დაკავება. არ არის გამორიცხული, ხარკოვის რეგიონშიც შეიჭრას და, შესაბამისად, შავი ზღვის სანაპიროების ბლოკირება მოახდინოს, პირდაპირ შეიჭრას და დაიპყროს.

პუტინმა თავის ერთსაათიან ისტორიულ ნარატივში ამაზე პირდაპირ ისაუბრა, უკრაინას დაემუქრა, რომ ამ ტერიტორიებს წაართმევს, ფაქტობრივად, თავისი გეგმა წარმოაჩინა. ასევე პუტინი დაიმუქრა, რომ სასტიკად დასჯის მათ, ვინც 2014 წელს ოდესაში რუს ექსტრემისტებს გაუსწორდა. ესეც საინტერესო ფაქტია.

კონკრეტულად არ დაასახელა, მაგრამ, როგორც ჩანს, არსებობს უკრაინელი პოლიტიკოსებისა და მოღვაწეების შავი სია, რომლებიც ამ ტერიტორიის დაკავების შემდეგ რეპრესირებულები იქნებიან.

ასეთი სია პუტინს ჰქონდა მაშინ, როცა საქართველოში შემოსვლას აპირებდა. საქართველოში შემოჭრის დროს 400 კაცის სია ჰქონდა. ახლა იმავეს გაკეთებას აპირებს უკრაინის მიმართულებით. პუტინის მთავარი იდეაა, უკრაინაში ხელისუფლება შეცვალოს.

– პუტინი უკრაინის სახელმწიფოს არსებობასა და უკრაინის ხელისუფლებას არ აღიარებს, განაცხადა, უკრაინაში ხელისუფლება რეჟიმს აქვს ხელში ჩაგდებულიო. ეს რა არის?

– დიახ, უკრაინა შექმნა ლენინმა და საბჭოთა ხელისუფლებამ და ზოგადად, ეს არის ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფოო. ცხადია, ეს პუტინის ინტერპრეტაციაა. სინამდვილეში უკრაინა 1918-20 წლებშიც არსებობდა უკრაინის სახალხო რესპუბლიკის სახით. როგორც ჩანს, პუტინმა ეს ფაქტი შეგნებულად გამოტოვა. ჩანს, შემდგომ აგრესიას განახორციელებს, რათა მოახდინოს უკრაინის ტერიტორიის ოკუპაცია.

– თვითონ უკრაინის ხელისუფლებისა და პრეზიდენტის რეაქცია როგორი იყო?

– უკრაინის ხელისუფლების რეაქცია იყო ძალიან მყისიერი, მაგრამ ფრთხილი, რადგან ამ ეტაპზე უკრაინამ დიპლომატიური ურთიერთობები მყისიერად არ გაწყვიტა. ზელენსკიმ თქვა, რომ ასეთი სცენარი განიხილება, მაგრამ პირდაპირ არ განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობას წყვეტს. ასევე მან განაცხადა, რომ მზად არის, ნებისმიერ ფორმატში შეხვდეს რუსეთის ხელისუფლებას და თვითმარქვია დონეცკისა და ლუგანსკის სეპარატისტული რესპუბლიკების წარმომადგენლებსაც კი, ანუ ზელენსკიმ არ მოჭრა თუნდაც ძალიან რთული გზა დიალოგის სანარმოებლად. მან საერთაშორისო საზოგადოებას დაანახა, თუ ვინ არის ნამდვილი აგრესორი და ნამდვილი მსხვერპლი. ესეც საინტერესო სვლა იყო. ზელენსკიმ არ გამოაცხადა სამხედრო მდგომარეობა. ეს განხორციელდება მაშინ, თუ ოკუპირებული ტერიტორიებიდან უკრაინის შიდა ტერიტორიებზე შეჭრა და იმ ტერიტორიის დაკავება დაიწყება, რომელსაც დღეს დონეცკისა და ლუგანსკის კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები აკონტროლებენ. ეს დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკების 60%-ია.

– ალბათ რუსეთი შეეცდება, დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკების ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი 60%-ც მიიერთოს.

– უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ დონეცკისა და ლუგანსკის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებმა ულტიმატუმი წაუყენეს უკრაინას, სასწრაფო წესით დატოვონ ტერიტორიები და უკრაინის შეიარაღებული ძალები გაიყვანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება ზომები, რაც წარმოუდგენელი თავხედობაა.

– ზელენსკიმ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა და ბუდაპეშტის შეთანხმების (ბირთვულ იარაღზე უარი რომ ათქმევინეს) ფორმატში უკრაინის საკითხის განხილვა მოითხოვა. მოვისმინეთ მსოფლიოს დიდი ქვეყნების, ნატოს, ევროკავშირის განცხადებები. რა შედეგს მოიტანს ეს?

– არ ვიცი, პუტინისა და რუსეთის შეკავება ძალიან რთულია. რეალური ბერკეტები ევროპული ქვეყნების განცხადებებში ვერ შევამჩნიე. გაუგებარია, როგორ სანქციებზეა საუბარი და როგორ აპირებენ რუსეთის წინააღმდეგ კონკრეტული სანქციების განხორციელებას. ევროკავშირი ახლა ფიქრობს, სანქციები როგორ განახორციელოს.

– შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ევროპა ჯერ კიდევ ფიქრობს, დააწესოს თუ არა სანქციები.

– მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. შეიძლება ვცდები. ჯერ ასეთი სიტუაციაა. ვნახოთ, მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები.

– ანუ შეიძლება უკრაინა რუსეთის პირისპირ მარტო დარჩეს?

– პირდაპირი აგრესიის შემთხვევაში უკრაინის სამხედრო დახმარება, თუნდაც სტრატეგიული მეგობრების მხრიდან, გამორიცხულია. იმავე ამერიკის მხრიდან არავინ გააგზავნის სამხედრო კონტინგენტს პირდაპირ სამხედრო კონფრონტაციაში ჩასართავად. შეიძლება დასავლეთმა იარაღი მიაწოდოს და სამხედრო ინსტრუქტორები გააგზავნოს ევროატლანტიკური სივრცის ქვეყნებში, პოლონეთსა და ბალტიისპირეთში სამხედრო წვრთნები ჩაატაროს და ამ კუთხით გამოხატოს უკრაინისადმი სოლიდარობა. პირდაპირი ჩარევა გამორიცხულია. რეალობა ასეთია.

– ამ დაძაბული ვითარებისა და რუსეთის აგრესიული ქმედებების ფონზე საქართველოდან 50-მა ორგანიზაციამ (რაღაც გაურკვეველი ორგანიზაციებია) პუტინს მიმართა, რომ ნატო არ უნდათ. მართალი გითხრათ, მიმართვის წაკითხვა და იმ სიის ბოლომდე ნახვაც არ მინდა, ვინც ასეთ მიმართვას ხელი მოაწერა. რას ნიშნავს ასეთი ქმედება ქართული ორგანიზაციების მხრიდან? ამ რთულ ვითარებაში ასეთი მიმართვის გაკეთება საქართველოსთვის ზურგში ლახვრის ჩაცემა ხომ არ არის?

– მე ამას კატეგორიულად ვემიჯნები. ასეთი რამ ჩემთვისაც აბსოლუტურად მიუღებელია. როდესაც პუტინი არის მტერი, ჩვენი ტერიტორია აქვს ოკუპირებული, რუსეთთან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა გვაქვს გაწყვეტილი, პუტინისადმი ასეთი მიმართვა საერთოდ ძალიან მიუღებელია. არ მინდა დავიჯერო, რომ ეს პუტინის დავალებაში ჯდება.

იქ არიან ჩემი მეგობრები, თანამებრძოლები, რომლებთან ერთადაც ვიბრძოდი მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვართ თანამეინახეები იმ კურსისა, რომელსაც ისინი ავითარებენ. მე ნატოსა და ევროკავშირში შესვლის უაპელაციო მომხრე ვარ. ნატოსა და ევროკავშირის მხარდაჭერა ჩვენთვის აუცილებელია, რომ დაგვიცვას აგრესორისაგან. აგრესორი მაინც გავეშებულია, გინდა ბაბაია დაუძახე, გინდა სხვა რამ, მაინც აგრესიულია.

– ერთხელ მითხარით, რუსეთის საქართველოში შემოჭრის საშიშროებაც არსებობს, რუსეთი საქართველოში ხელისუფლების შეცვლას მოინდომებს და არიან ძალები, რომლებსაც ამისთვის ამზადებსო. ეს ძალები ხომ არ არიან, ვინც ახლა პუტინისადმი მიმართვას ხელი მოაწერა?

– არა მგონია, ეს ის ძალები იყვნენ, რომლებზეც რუსეთი აქცენტს აკეთებს. სხვა ძალებიც არიან, რომლებიც ჩამოყალიბებულ, აშკარა პრორუსულ კურსს ავითარებენ. ჯერჯერობით ამ ძალების რაობას არ დავაკონკრეტებ. არიან კონკრეტული პარტიები, გაურკვეველი ტიპის გაერთიანებები.

ძალიან რთული სიტუაციაა. ღმერთმა ნუ ქნას და, თუ აგრესია მოხდა, შეიძლება, კიდევ ისეთი ძალები გაჩნდნენ, რომ ვერ წარმოგვიდგენია. როცა ბოლშევიკები საქართველოში შემოიჭრნენ და 25 თებერვალს ქვეყნის ოკუპაცია-ანექსია მოახდინეს, ისეთი პიროვნებები გამოჩნდნენ და ბოლშევიკების მხარეზე გადავიდნენ, საზოგადოება გაოცდა.

ზვიად გამსახურდიას მთავრობა პირდაპირ რუსეთის მაშინდელი ხელისუფლებისა (ბურბულისის პირდაპირი მითითებით) და სპეცსამსახურების მონაწილეობით დაამხეს. ეს იყო სამხედრო გადატრიალება, მაგრამ ფარული სამხედრო ინტერვენცია, რომელიც დაიგეგმა ელცინ-ბურბულისის დონეზე, რაც დამტკიცებული ფაქტია. მაშინ ისეთი ადამიანები გამოჩნდნენ და ისეთმა ადამიანებმა დაუჭირეს მხარი სამხედრო გადატრიალებას, ფარულ ინტერვენციას, დღემდე გაოცებული ვარ.

„2007 წლის შემდეგ საქართველოში პირველად დაფიქსირდა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა“

ვლადიმერ ბოჟაძე: „ირაკლი ღარიბაშვილის მუშაობაში კარგად ჩანს, რომ მისთვის მნიშვნელოვანია, რა აწუხებს ჩვენს მოსახლეობას“

ვლადიმერ ბოჟაძემ ჩვენთან საუბარში ხაზი გაუსვა იმ მნიშვნელოვან ღონისძიებებს, რომლებიც წარმატებით იქნა გატარებული ღარიბაშვილის მეთაურობით. როგორც ბოჟაძემ აღნიშნა, 2021 წელს გახარიას გადადგომით გახარებულ ოპოზიციას სახეზე ღიმილი მალევე შეახმა, რადგან ირაკლი ღარიბაშვილი გახდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი.

– ბატონო ლადო, როგორც ვიცით, ირაკლი ღარიბაშვილმა ხელისუფლება ჩაიბარა ისეთ დროს, როდესაც ქვეყანაში იყო როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური კრიზისი. ასეთი გამოწვევების ფონზე როგორ შეაფასებდით მის ერთწლიან პრემიერობას?

– პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის 18 თებერვალი, როდესაც გიორგი გახარია გადადგა. როგორი ზეიმი ჰქონდათ გამოცხადებული ოპოზიციას, თუმცა, მალევე ღიმილი შეახმათ სახეზე, როდესაც გაიგეს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პრემიერ-მინისტრად წარადგინა ირაკლი ღარიბაშვილი. როგორც ჩანს, ისინი წინასწარ გრძნობდნენ, რას მოუტანდა მათ, ირაკლი ღარიბაშვილის კვლავ პრემიერ-მინისტრის პოსტზე დაბრუნება.

რაც შეეხება ამ გადაწყვეტილებას, ძალიან სწორი და პრინციპული გადაწყვეტილება იყო. „ქართული ოცნების“ ძალიან ბევრი მხარდაჭერისთვის და წევრისთვის, განსაკუთრებით იმ თაობის „ქართული ოცნების“ წევრებისთვის, ვინც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა 2012 წლის გამარჯვებაში.

მისი ერთწლიანი მოღვაწეობის პერიოდი რამდენიმე ნაწილად უნდა დავყოთ. პირველ რიგში, უნდა გავიხსენოთ პოლიტიკური საკითხები. ფაქტობრივად, ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრი გახდა მაშინ, როცა, როგორც თქვენ ახსენეთ, პარლამენტში არ იყო შესული ოპოზიცია. პრემიერ-მინისტრი გახარია ფაქტობრივად მოღალატეობრივად გაიქცა და სერიოზული ზიანი მიაყენა გუნდს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. გარკვეული სერიოზული პოლიტიკური განცხადებები მოჰყვა, რომ ის გადადგა ოპოზიციის ლიდერის ნიკანორ მელიას დაკავების გამო. გეგონება, მისი დაკავების სამართლიანი საფუძველი არ არსებობდა და მელია დააკავეს არა იმიტომ, რომ მხილებული იყო დანაშაულში და დამნაშავე იყო, არამედ იმიტომ, რომ იყო ოპოზიციის ლიდერი. ამიტომ, საგარეო მიმართულებითაც სერიოზული მუშაობა იყო საჭირო, იმისათვის, რომ ის მოვლენები სწორად შეეფასებინათ. პირველივე ნაბიჯი სწორედ ნიკანორ მელიას დაპატიმრება იყო ყოველგვარი გართულებების გარეშე და ძალიან მაღალ დონზე ჩატარებული ოპერაცია მისი დაკავების.

შემდეგ უკვე იყო იმ პრობლემების გამკლავება, რომლებიც ჰქონდა ქვეყანას. რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ის მძიმე ეკონომიკური სურათი, რომელიც ჩვენ მთელი 2020 წლის განმავლობაში გვქონდა კოვიდპანდემიის გამო, ფაქტობრივად ორნიშნიანი ეკონომიკური ვარდნა, მათ შორის, 2021 წლის დასაწყისში.

მისი გადაწყვეტილება, რომ გახსნილიყო ეკონომიკა და მკაცრი შეზღუდვების პარალელურად გაგრძელებულიყო და დაწყებულიყო ვაქცინაციის პროცესი, როგორც ხედავთ, წარმატებული აღმოჩნდა. ჩვენს ქვეყანაში 2007 წლის შემდეგ პირველად დაფიქსირდა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ლარი განაგრძობს სტაბილურობას.

– ბატონო ლადო, ასევე მნიშვნელოვანია ის საერთაშორისო ფორუმები და სამიტები, რომლებშიც ღარიბაშვილმა მონაწილეობა მიიღო. გარდა ამისა, საქართველოში უცხოელი პარტნიორების მნიშვნელოვანი ვიზიტები განხორციელდა. როგორ შეაფასებდით ამას, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის მსგავს შეხვედრებს და როგორია პრემიერის როლი ამ პროცესებში?

– რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის მთავარი გამოწვევა იყო საგარეო პოლიტიკა. ამაში დამნაშავე, კოვიდპანდემიის გარდა, იყო ის პოლიტიკური სურათი, რომელიც ქვეყანაში შეიქმნა, როდესაც ოპოზიცია არ შედიოდა პარლამენტში. გახსოვთ ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ელჩების ჩართულობა ამ ყველაფერში, შემდეგ უკვე უშუალოდ შარლ მიშელის ჩართულობა. თუმცა, რა თქმა უნდა, უნდა ვახსენოთ ირაკლი ღარიბაშვილის ფაქტორი. მისი წარმატებული ვიზიტები რეგიონის ქვეყნებში. განსაკუთრებით მინდა გამოვყო თურქეთის რესპუბლიკაში მისი ვიზიტი, რომელიც ძალიან მაღალ დონეზე შედგა. აღარაფერს ვამბობ ევროკავშირში და ნატოში, ბრიუსელში, სტრასბურში სხვა ქვეყნებთან კომუნიკაციას, რომელიც მას ჰქონდა ჯერ კიდევ პირველი პრემიერმინისტრობის დროს, რომელიც ძალიან აქტიურად გამოიყენა მან თავდაცვის მინისტრობის დროსაც. ეს წარმატებული საგარეო პოლიტიკაც, რა თქმა უნდა, დიდწილად ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებაა.

განსაკუთრებულად მინდა გამოვყო უკრაინასთან ჩვენი ურთიერთობების დარეგულირება. გახსოვთ, წლების განმავლობაში სააკაშვილის ფაქტორის გამო ურთიერთობები უკრაინასთან ძალიან დაბალ ნიშნულზე იყო დაყვანილი. ახლა ვისარგებლებ შემთხვევით და მინდა მშვიდობა ვუსურვო უკრაინას, ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე ვდგავართ ერთად ორივე სახელმწიფო, რადგან ჩვენთვის ორივესთვის უმნიშვნელოვანესია ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება.

– ასევე ღარიბაშვილის ერთწლიანი პრემიერობის დროს ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი მოხდა. 300 წლის შემდეგ იორდანიაში მიწა გადმოეცა საქართველოს. ამ ფაქტს საქართველოსთვის რა მნიშვნელობა აქვს და როგორია ამ შეთანხმებაში ღარიბაშვილი როლი?

– თქვენ იცით, რომ ეს საკითხი დიდი ხანია განიხილებოდა და, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, რომ ჩვენ ამდენი საუკუნის მერე კვლავ ვბრუნდებით წმინდა მიწაზე. ესეც, რა თქმა უნდა, ირაკლი ღარიბაშვილის აქტიური საქმიანობის დამსახურებაა. ძალიან ბევრი საკითხი, რომელიც მანამდე ჩვენს ეკლესიასთან მიმართებით იყო, ასევე, გარდა ამ მიწის გადმოცემისა, ძალიან სწრაფად, ოპერატიულად იქნა გადაჭრილი.

პია

სენაკის საკრებულოს აპარატის უფროსი გადადგა

პროტესტი სენაკში – საკრებულოს აპარატის უფროსმა თანამდებობა დატოვა.

– მივდივარ წნეხისა და ზეწოლის გამო, – თქვა ვეფხია რუსიამ.

მან შანტაჟში სამი პოლიტიკური პარტია – ენმ, „ოცნება“ და გახარიას პარტია დაადანაშაულა, თუმცა კონკრეტულ ფაქტებზე არ უსაუბრია.

ოპოზიცია ამ ნაბიჯს სხდომის ჩაშლის მცდელობად აფასებს, თუმცა აპირებს, რომ მმართველი გუნდის ბოიკოტის მიუხედავად, საკრებულოს თავმჯდომარე აირჩიოს.

სენაკის საკრებულოში თავმჯდომარეს ამ დრომდე ვერ ირჩევენ. ხმების უმრავლესობა ოპოზიციას აქვს, თუმცა ხელისუფლების ოპონენტების თქმით, „ქართული ოცნება“ პროცედურული ომით სხდომების ჩაშლას ახერხებს, რის გამოც საკრებულოს თავმჯდომარე რამდენიმე თვეა, ქალაქს არ ჰყავს.

ქუთაისის მეტალურგიულში ამიაკმა გაჟონა

დაშავდნენ მუშები

ქუთაისის მეტალურგიულ ქარხანაში მუშები მოიწამლნენ. 2 დაშავებული მუშა საავადმყოფოშია გადაყვანილი. ინტოქსიკაცია, სავარაუდოდ, ამიაკის გაჟონვამ გამოიწვია.

ირკვევა, რომ ამიაკის გაჟონვა ერთ-ერთი ბალონის გაჭრის შემდეგ მოხდა.

მეტალურგიული ქარხანა „ამბიკონ სტილსი“ მეორადი ჯართის გადამუშავებაზე მუშაობს.

საწარმოში 300 ადამიანია დასაქმებული.

პროკურორი ქობულაძე: „შანაი ბრუკის მკვლელობისას რაფაელ მურსაკულოვი თავის ქმედებას აცნობიერებდა“

მურსაკულოვმა ყველას ბოდიში მოუხადა

ავსტრალიის მოქალაქე შანაი ბრუკის დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის საქმის პროკურორის, გიორგი ქობულაძის განცხადებით, ექსპერტიზის დასკვნით, რაფაელ მურსაკულოვს ფსიქოტროპული მედიკამენტების მიღების კვალი აღენიშნებოდა, თუმცა, დანაშაულის ჩადენისას ის შერაცხადი იყო.

ქობულაძის განმარტებითვე, გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ დანაშაულის ჩადენისას ის მის ქმედებას აცნობიერებდა.

– ბრალდებულმა პატიება ითხოვა და დანაშაული აღიარა, ეს რამდენად გათვალისწინებული იქნება სასამართლოს მხრიდან, ვნახავთ შესაბამისი განაჩენის გამოტანისას. მკვლელობის დღეს მან მომხდარი დანაშაულის თაობაზე ოჯახის წევრებს უთხრა, ასევე ძმის ცოლი გააფრთხილა, თუკი, აღნიშნულის შესახებ პოლიციაში განაცხადებდა, ის შურს იძიებდა მასზე და მის შვილზე.

ექსპერტიზის დასკვნით, დადგენილია, რომ მას აღენიშნებოდა გარკვეულწილად ფსიქოტროპული მედიკამენტების მიღების კვალი, თუმცა, ექსპერტი ადგენს, რომ აღნიშნული ვერ ახდენს გავლენას მის შერაცხადობაზე, დანაშაულის ჩადენის დროს, ის შერაცხადი იყო, ისევე, როგორც აფექტის მდგომარეობაში არ იმყოფებოდა. გადაჭრით შეგვიძლია იმის თქმა, რომ ის აცნობიერებდა, თუ რას ჩადიოდა, – განაცხადა ქობულაძემ.

პროკურორის თქმითვე, ბრალდებულმა შანაი ბრუკის მოკვლის შემდეგ ის გადამალა, ფოთლები დააყარა და დაწვას აპირებდა.

კომენტარი რაფაელ მურსაკულოვის ადვოკატმა სოფიო გოგლიჩიძემაც გააკეთა.

– ვინაიდან რაფაელ მურსაკულოვს ბრალი ყაჩაღობაზეც აქვს წაყენებული და მან ეს დანაშაული აღიარა, გამოდის, მოტივიც ეს იყო, – განაცხადა მან.

ადვოკატის თქმით, მურსაკულოვი შეღავათებს არ ითხოვს და ის ჩადენილ დანაშაულს ინანიებს.

– ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, ინანიებს, მან დასკვნითი სიტყვით ისარგებლა. ძალიან მძიმეა მისთვის ამ ყველაფრის გააზრება, ყველას ბოდიში მოუხადა, თუკი ვინმესთან შემხებლობა ჰქონია, ოჯახსაც, საზოგადოებასაც. ბრალდებულს აღქმა არ შეუძლია, რატომ მოხდა ეს, მას გარკვეული ფსიქიკური პრობლემები აქვს, რაც მის შერაცხადობას არ გამორიცხავს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება აიხსნას, თუ რა მოხდა იმ დღეს და რატომ ვერ გაიაზრა მან ეს. როცა დაფიქრდა და გაიაზრა, რაც მოხდა, გულწრფელად მოინანია. ის გაგებას არავის სთხოვს და ელოდება ისეთ გადაწყვეტილებას, რასაც სასამართლო მიიღებს. თვითონაც ვერ აღწერს, ეს ყველაფერი რამ გამოიწვია. ვინაიდან ბრალი ყაჩაღობითაც აქვს წაყენებული და მან აღიარა ეს დანაშაული, გამოდის, მოტივიც ეს იყო, – განაცხადა გოგლიჩიძემ.

რაფაელ მურსაკულოვმა საბოლოო სიტყვის წარმოთქმისას საზოგადოებას ბოდიში მოუხადა და იტირა.

ბრალდებულმა სასამართლოს სხდომათა დარბაზში სიტყვა პირველად წარმოთქვა და შანაი ბრუკის ოჯახს ბოდიში მოუხადა.

– ბოდიშს მოვიხდი, დღემდე საერთოდ არ მისაუბრია, არც იქნებოდა სწორი, რამეზე მელაპარაკა. აქ მანდილოსნები სხედან და ბოდიშს ვუხდი ყველა მანდილოსანს. არ ვარ ასეთი ადამიანი და არ ვყოფილვარ ასეთი ადამიანი, მე ჩემი თავი იმ

გიორგი ქობულაძე

დღეს ვერ გავაჩერე, ალბათ, იმ დღეს ჩემში ღმერთზე მეტი ეშმაკი იყო. როცა ამ ქვეყნის შვილი ხარ, ასე არ უნდა შეგეშალოს და მე შემეშალა. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ მოხდა.

მე ამ ქვეყანას, ხალხს ვუხდი ბოდიშს, იმ ადამიანის ოჯახს ვუხდი ბოდიშს, ეს არის დანაკლისი, რასაც ვერ ავანაზღაურებ. უბრალოდ, მაპატიეთ. რაც არ უნდა გამოიტანოთ განაჩენი, ხმას არ ამოვიღებ, არ გავასაჩივრებ, ბოლომდე დავდგები, ბოდიშს გიხდით. ბოდიში, ეს არ იყო დაგეგმილი, ასე მოხდა, გულწრფელად ბოდიშს ვიხდი, არ ვიცი, რა მოხდა, როგორ მოხდა, ყველას ბოდიშს გიხდით, – განაცხადა მურსაკულოვმა.

სხდომა განაჩენის გამოცხადების ეტაპზე, 9 მარტისთვის გადაიდო, ვინაიდან დაზარალებულის ძმას სურს, პროცესს დაესწროს.

ეკატერინე კიკნაძემ თეა წულუკიანს უჩივლა

მუზეუმის ყოფილმა მმართველმა ეკატერინე კიკნაძემ სახალხო დამცველს საჩივრით მიმართა და კულტურის მინისტრის, თეა წულუკიანის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატისა და მისი 4 წევრის მიერ განსხვავებული შეხედულებების გამო დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და დისკრიმინაციული მოპყრობის აღმოფხვრა მოითხოვა.

საიას ცნობით, 28 იანვარს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა კონკურსში გამარჯვებული პროექტების ჩამონათვალი გამოაქვეყნა, სადაც გამარჯვებულ პროექტებს შორის ეკატერინე კიკნაძისა და ხელოვნების მუზეუმის სხვა ყოფილი თანამშრომლების ერთობლივი პროექტი იყო.

საიას ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც საჯაროდ ცნობილი გახდა, რომ ეკატერინე კიკნაძის პროექტმა რუსთაველის ფონდის დაფინანსება მიიღო, კულტურის მინისტრმა განსხვავებული შეხედულებების გამო კვლევითი პროექტებიდან კონკრეტული პირების ჩამოშორების მექანიზმი შეიმუშავა.

მიღებული ცვლილებების შესაბამისად, 9 თებერვალს, დირექტორატის წევრმა ნიკა ახალბედაშვილმა რუსთაველის ფონდს 13 გამარჯვებული პროექტისთვის დაფინანსების გამოყოფის მიზანშეუწონლობის შესახებ წერილობით მიმართა, რითაც, ფაქტობრივად, სამეცნიერო პროექტების, მათ შორის, ეკატერინე კიკნაძის და მისი კოლეგების გამარჯვებული პროექტის განხორციელება შეჩერდა.

„იმ მიზნით, რომ ხელი შეშლოდა კრიტიკულად განწყობილი (ყოფილი) თანამშრომლების სამეცნიერო კვლევების განხორციელებას მუზეუმში, მინისტრმა განსხვავებული შეხედულებების გამო კვლევითი პროექტებიდან კონკრეტული პირების ჩამოშორების მექანიზმი შეიმუშავა. კერძოდ, დებულებით დირექტორატს მიენიჭა უფლებამოსილება, დაფინანსებული პროექტების შესახებ მიმართოს დამფინანსებელს და მოითხოვოს საგრანტო თანხა. დირექტორატს ასევე მიენიჭა უფლება, თავად განსაზღვროს, დაუშვებს თუ არა მუზეუმში მკვლევარს კვლევითი პროექტის განხორციელების მიზნით.

2022 წლის 22 თებერვალს ეკატერინე კიკნაძემ საჩივრით მიმართა სახალხო დამცველს და მოითხოვა მინისტრის, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატისა და მისი ოთხი წევრის მიერ განსხვავებული შეხედულებების გამო დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და დისკრიმინაციული მოპყრობის აღმოფხვრა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ეკატერინე კიკნაძის ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სახალხო დამცველის აპარატში საია წარმოადგენს.

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“: „5 ივლისის საქმეზე ბრალდებულები მედიის მიმართ აგრესიას სასამართლო სხდომებზეც აგრძელებენ“

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ განცხადებით, 5 ივლისის საქმეზე ბრალდებული მედიის წარმომადგენლების მიმართ აგრესიას სასამართლო სხდომებზეც აგრძელებენ.

ამის შესახებ „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა“ განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში 5 ივლისის მასობრივი ძალადობის საქმეზე დაზარალებულ რატი წვერავას ერთ-ერთმა ბრალდებულმა მუქარის შემცველი განცხადებით მიმართა, მას შემდეგ, რაც ჟურნალისტმა ძალადობაში მონაწილეებს „არაკაცები“ უწოდა.

ორგანიზაციის ინფორმაციით, ბრალდებულმა დაზარალებულს შემდეგი ფრაზებით მიმართა: „გამომიშვით, მიმიშვით და კიდევ მომეცით 6 წელი“; „ასეთი ხალხის გამო ვზივარ აქ“; „ასეთ ვიგინდარას შემოარტყამ და მერე ვზივარ ციხეში“.

„2021 წლის 5 ივლისს პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ჟურნალისტ რატი წვერავას მიმართ განხორციელებული სასტიკი ძალადობის კადრები საჯაროდაც არის ხელმისაწვდომი. თუმცა აღნიშნულ ეპიზოდში ამ დრომდე მხოლოდ ერთი პირია დაკავებული.

სასამართლო განხილვების დროს დაზარალებული ჟურნალისტების მიმართ არსებული მტრული გარემო ახალი არაა. 11 თებერვალს ერთ-ერთმა ბრალდებულმა შეურაცხყოფა „მთავარი არხის“ ჟურნალისტსაც მიაყენა. სასამართლო მონიტორინგის ანგარიშში, რომელიც ინსტიტუტმა 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი დარბევის საქმეებზე გამოაქვეყნა, ორგანიზაციამ დაზარალებულების, ექსპერტებისა და მოწმეების დაკითხვისას სხდომათა დარბაზში არსებულ დამაშინებელ და დაძაბულ გარემოს არაერთხელ გაუსვა ხაზი.

აღსანიშნავია, რომ 5 ივლისის საქმეებზე დაცვის მხარის სტრატეგია ხშირ შემთხვევაში ჟურნალისტების მიმართ (სახელისუფლებო და პრორუსული მედიების წარმომადგენლების გარდა) აგრესიულ განწყობებზეა აგებული. დაცვის მხარე მათ პროვოკატორებს უწოდებს და პასუხისმგებლობის დაზარალებულებზე გადატანას ცდილობს.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა არაერთხელ განაცხადა, რომ 5 ივლისის მასობრივ ძალადობაზე ხელისუფლების წარმომადგენლების არასათანადო რეაგირებამ და ორგანიზატორების დაუსჯელობამ, შესაძლოა, მსგავსი დანაშაულების სამომავლოდ ჩადენა წაახალისოს.

2021 წლის 5 ივლისს თბილისში, „თბილისი პრაიდის“ კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი „ღირსების მარშის“ ჩასაშლელად ჰომოფობიური და სიძულვილის ჯგუფები რუსთაველის გამზირზე გამოვიდნენ.

პარლამენტთან „ქართული ოცნების“ მოწინააღმდეგეთა კარვების, ასევე, „სირცხვილისა“ და „თბილისი პრაიდის“ ოფისების დარბევის პარალელურად, ძალადობის შედეგად დაშავდა 53-მდე ჟურნალისტი და მშვიდობიანი მოქალაქე, ხოლო „ტვ პირველის“ ოპერატორი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებების შემდგომ, 11 ივლისს გარდაიცვალა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი მთელი თბილისის მასშტაბით ამოქმედდა

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი დედაქალაქის მასშტაბით სრულად ამოქმედდა. 50 მართლწესრიგის ოფიცერი გლდანი-ნაძალადევის მთავარ სამმართველოში დაგეგმილზე ადრე შეუდგა მუშაობას.

ახლადდანიშნულ მართლწესრიგის ოფიცრებს პირველი სამუშაო დღის დაწყება შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილე შალვა ბედოიძემ, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა სულხან თამაზაშვილმა, მისმა მოადგილე თეიმურაზ კუპატაძემ და გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს უფროსმა მირიან ქავთარაძემ მიულოცეს.

მინისტრის პირველმა მოადგილე შალვა ბედოიძემ მართლწესრიგის ოფიცრებს სიტყვით მიმართა და მათი სამსახურის მნიშვნელობაზე ესაუბრა. „თბილისის პოლიციის დეპარტამენტში მართლწესრიგის რეფორმა სრულად განხორციელდა. ყველა რაიონში, თბილისის მთავარ სამმართველოებში სრულად იქნა შეყვანილი მართლწესრიგის ოფიცრები. ძალიან მნიშვნელოვანია მართლწესრიგის როლი საპოლიციო საქმიანობის განხორციელებაში. ასევე, მინდა გაცნობოთ, რომ სრულად გაიმიჯნა თბილისის პოლიციის დეპარტამენტში გამოძიებისა და ოპერატიული საქმიანობის ფუნქცია-მოვალეობები, რაც კიდევ უფრო ეფექტურს გახდის ჩვენს საპოლიციო საქმიანობას“, – განაცხადა შალვა ბედოიძემ.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, მიზნად ისახავს პოლიციის პრევენციული საქმიანობის გაძლიერებას.

მართლწესრიგის ოფიცრის კომპეტენცია მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: არასრულწლოვნებთან, ოჯახში ძალადობასთან, სამეზობლო დავებთან, უკანონო მიგრაციასთან, მოწყვლად ჯგუფებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე რეაგირება. მართლწესრიგის ოფიცრების ფუნქციამოვალეობებში ასევე შედის: დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და პირველადი დამუშავება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოება; შესწრებულ დანაშაულზე რეაგირება.

მართლწესრიგის ოფიცრების შერჩევა ხდება კონკურსის წესით. კონკურსის შედეგად შერჩეული პირები შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში რამდენიმეთვიან ინტენსიურ პროფესიულ სწავლებას გადიან და სასწავლო კურსის გავლის შემდეგ იწყებენ მუშაობას.

სულ, თბილისის ყველა რაიონში, 365 მართლწესრიგის ოფიცერი იმუშავებს. მთელი ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო კონცეფციის სრულყოფილად დანერგვისათვის იგეგმება მართლწესრიგის ოფიცერთა რაოდენობის ეტაპობრივად გაზრდა და ყველა მსხვილ ქალაქში ამოქმედება.

ბრიტანელი გამომძიებლები ბასილაშვილის საქმეზე თბილისში ჩამოვიდნენ

ბრიტანელი გამომძიებლები თბილისში ჩოგბურთის ფედერაციაში იმყოფებიან. ანტიკორუფციული ბიუროს გამომძიებელთა ჯგუფს, სავარაუდოდ, კითხვები ნიკოლოზ ბასილაშვილთან დაკავშირებით ექნება.

საქმე საქართველოს პირველი ჩოგნის ჩაწყობილ თამაშებთან შესაძლო კავშირს ეხება. გავრცელებული ინფორმაციით, ბასილაშვილი გაყიდულ თამაშებში მონაწილეობდა.

ლონდონიდან საქართველოში სპეციალურად ჩამოსულმა ჯგუფმა ბასილაშვილის საქმეზე გამოკითხვების სერია 22 თებერვალს დაიწყო.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ ბასილაშვილს ბრალი არ დაუდასტურდება.

– ხშირი კომუნიკაცია გვაქვს საერთაშორისო ფედერაციის ამ დეპარტამენტთან, დაახლოებით ერთი კვირის წინ მომწერეს მეილი და შემითანხმეს დრო, რომ დილით 11 საათზე უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. ჩემთვის არანაირი დეტალი არ არის ცნობილი. ჩემი აზრით, ალბათ გაცნობითი ხასიათის შეხვედრა იქნება. იმედს ვიტოვებ, რომ ნიკას ეს ბრალი ნამდვილად არ დაუდასტურდება, – ამბობს აკა მეტრეველი.

ბასილაშვილის ადვოკატები ამტკიცებენ, რომ საქართველოს პირველ ჩოგანს ჩაწყობილ თამაშებთან კავშირი არასდროს ჰქონია და ეს ყველაფერი დისკრედიტაციის კამპანიის ნაწილია.

საქმე, რომელსაც ბასილაშვილს ედავებიან, 2016 წლის ეპიზოდს მოიცავს.

თუ დადასტურდება, რომ საქართველოს პირველი ჩოგანი თამაშების სანაცვლოდ თანხას წინასწარ იღებდა, მას უმკაცრესი სანქციები ელოდება.

რუსეთის ექსპანსია დაიწყო: რა მოხდება შემდეგ?!

პუტინმა „დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების“ დამოუკიდებლობა აღიარა. ამით საქმე არ დამთავრებულა. „რესპუბლიკების“ ტერიტორიაზე რუსეთის არმია შეიყვანეს. ამრიგად, რუსულმა ექსპანსიამ, რომელიც მანამდე „ჰიბრიდულ“ ხასიათს ატარებდა, აშკარა ფორმები მიიღო.

– შეიქმნა სრულიად ახალი გეოპოლიტიკური ვითარება, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

რა მოხდება შემდეგ? ამ მხრივ ერთგვაროვანი შეხედულება კრემლშიც არ არსებობს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე რუდენკომ განაცხადა, რომ დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკებს აღიარებენ იმ საზღვრებში, რომლებშიც დღეისათვის აკონტროლებენ. პუტინის თანაშემწე პესკოვი ამას არ დაეთანხმა. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკები დონეცკის ოლქის საზღვრებში უნდა ცნონ, ანუ ფსევდო-რესპუბლიკების ძალაუფლება უნდა გავრცელდეს მარიუპოლზე, კრამატორკსზე, სლავიანსკზე, ანუ ტერიტორიაზე, რომელიც უკრაინულმა არმიამ კარგა ხნის წინ გაათავისუფლა.

უკრაინელი ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი, მიმოიხილავს რა შექმნილ სიტუაციას, აკეთებს დასკვნას, რომ ახლა არსებობს მოვლენების შემდგომი განვითარების სამი სცენარი: 1) პუტინი მიღწეულს დასჯერდება და ამაზე დაყრდნობით დაიწყებს მოლაპარაკებებს დასავლეთთან იმის შესახებ, რომ უკრაინას ტერიტორიული პრობლემები გააჩნია და ნატოს კარი მისთვის უნდა ჩაიკეტოს; 2) რუსების მიერ მთელი დონბასის ოკუპაციის მცდელობა; 3) რუსები იწყებენ ოპერაციას „იძულება მშვიდობისათვის“, როცა შეუტევენ როგორც დონბასს, ასევე ხარკოვს, ოდესას, დნეპრს, კიევს, ყოველივე კი უკრაინის დედაქალაქში პრორუსული ხელისუფლების დამყარებით უნდა დასრულდეს.

– დღეისათვის ყველაზე რეალური მეორე სცენარია, როცა რუსები მარიუპოლის აღებას შეეცდებიან, – აცხადებს პორტნიკოვი.

მარიუპოლში უკრაინის სერიოზული ძალებია გამაგრებული. ქალაქის აღების ნებისმიერი მცდელობაც კი რუსეთ– უკრაინის არმიებს შორის ფართომასშტაბიან შეტაკებებს ნიშნავს. ამით კი მთელი დონბასი საომარი მოქმედების ზონად გადაიქცევა. მარიუპოლის აღება რუსეთს უდიდეს ძალისხმევად დაუჯდება. ამით მთელი დონბასი საომარი მოქმედებების ზონად გადაიქცევა. მეტიც, შესაძლოა, ომის ხანძარი მთელ უკრაინას მოედოს. ეს პერსპექტივა მესამე სცენარის რეალიზების მცდელობის დროსაც რეალურია.

რასაკვირველია, პრეზიდენტმა ზელენსკიმ თავის დროზე უამრავი შეცდომა დაუშვა. ამათგან ყველაზე ფატალურია ის, რომ უკრაინის პრეზიდენტმა (ისევე, როგორც პარლამენტმა) უარი განაცხადა აშშ-ის მოკავშირის სტატუსზე ნატოში გაწევრიანების გარეშე. ამით ზელენსკიმ საკუთარი ხელით მოისპო შანსი იმისა, რომ აშშ მის ქვეყანას ჯარით დახმარებოდა. დღეისათვისაც უკრაინას მხოლოდ „ავღანიზაციის“ პერსპექტივა დარჩა. მომავალი გვიჩვენებს, შეამსუბუქებს თუ არა ეს გზას ნატოსაკენ. დღეისთვის უდავოა ერთი: მეორე ცივი ომი დაიწყო; უკრაინა, ისევე, როგორც საქართველო, ფრონტის წინა ხაზია.

ბაიდენმა სპეციალური განცხადება გააკეთა

რუსეთის ექსპანსია უკრაინაში გრძელდება. აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმაც საგანგებო განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ ამოქმედდა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების პირველი პაკეტი. ის მოიცავს:



1. ორ მსხვილ ფინანსურ ინსტიტუტს ვებ რფ-ს და Military Bank;
2. რუსეთის სუვერენულ ვალს (ის დაყადაღებულია);
3. სახელმწიფო დუმისა და რუსული ელიტის იმ წევრებსა და მათი ოჯახების წარმომადგენლებს, რომლებიც დონეცკ– ლუგანსკის ფსევდორესპუბლიკების ცნობაში მონაწილეობდნენ.

ბაიდენმა განაცხადა, რომ ეს ახალი რადიკალური სანქციების მხოლოდ პირველი ნაწილია.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი აშშ-ის თავდაცვის მინისტრს შეხვდა

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი კულება აშშ-ის თავდაცვის მინისტრ ოსტინს შეხვდა. განხილულ იქნა თანამშრომლობა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საქმეში. ოსტინმა კულებას მხარდაჭერა გამოუცხადა უკრაინის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში.

ბრიტანეთი რუსეთს სანქციებს უწესებს

ბრიტანეთმა რუსეთს პირველი სანქციები უკვე დაუწესა. ისინი ხუთ რუსულ ბანკზე გავრცელდა.

– ეს პირველი ნაბიჯია, – განაცხადა პრემიერმა ჯონსონმა. სავარაუდოდ, სანქციები გაძლიერდება.

რუსეთი უკრაინაში ახალი მასობრივი შეჭრისათვის ემზადება!

თეთრი სახლის წარმომადგენელმა პსაკიმ განაცხადა, რომ რუსეთი უკრაინაში ახალ შეჭრას ამზადებს.

– ის, რაც მოხდა, მხოლოდ დასაწყისი იყო, – აცხადებს პსაკი.

ამ საკითხზე უფრო კონკრეტულად აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა სალივანმა ისაუბრა. მან თქვა, რომ რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ მასობრივ სამხედრო ოპერაციას ამზადებს. ეს იქნება არა ორი არმიის ბრძოლა, არამედ უკრაინელი ხალხის წელში გატეხის მცდელობა.

– მსგავსი ოპერაციებისას დიდძალი მსხვერპლი გარდაუვალია. საუბარია როგორც რუს და უკრაინელ ჯარისკაცებზე, ასევე მშვიდობიან მოსახლეობაზე, – თქვა სალივანმა.

პუტინი აგრესიის ახალი აქტებისათვის ემზადება

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების იურისდიქცია მთელ დონბასზე უნდა გავრცელდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტერიტორია, რომელსაც დღეს უკრაინელები აკონტროლებენ, სეპარატისტების ხელში უნდა გადავიდეს.



– იმედია, ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანად გადაწყდება. უკრაინელებიც უკანონოდ დაკავებულ ტერიტორიას ულაპარაკოდ დატოვებენ, – თქვა პუტინმა.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, რუსეთის ფედერაციულმა საბჭომ პუტინს დონბასში შეიარაღებული ძალების გამოყენების უფლება მისცა. ამრიგად, რუსეთის პრეზიდენტმა აგრესიაზე მანდატი ოფიციალურად მიიღო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

ფეხბურთის ფედერაციამ რეგულაციები შეცვალა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა. ძირითადი საკითხი საქართველოს ჩემპიონატის ლიგების დებულების დამტკიცება იყო.

2022 წლის კრისტალბეთ ეროვნული ლიგა 2-ის გათამაშებაში მე-9 და მე-10 ადგილზე გასული გუნდები ავტომატურად დაქვეითდებიან ლიგა 3-ში, ხოლო მე-7 და მე-8 ადგილზე გასული გუნდები 2-მატჩიან ფლეი ოფში დაუპირისპირდებიან ლიგა 3-ის მე-3 და მე-4 ადგილზე გასულ გუნდებს. ამ ფორმატით გაირკვევა 2023 წლის ეროვნული ლიგა 2-ის მონაწილეები, შესაბამისად, ლიგა 3-ის 2 საუკეთესო კლუბი პირდაპირ მოიპოვებს კრისტალბეთ ეროვნული ლიგა 2-ის საგზურს, ხოლო 3-4 ადგილზე გასული გუნდები 2-მატჩიან ფლეი ოფში დაუპირისპირდებიან ლიგა 2-ის 7-8 ადგილზე გასულს კლუბებს.

ლიგა 3-ის გათამაშებაში მე-14, მე-15 და მე-16 ადგილზე გასული გუნდები ლიგა 4-ში დაქვეითდებიან. შესაბამისად, ლიგა 4-ში 1, მე-2 და მე-3 ადგილზე გასული გუნდები ლიგა 3-ის საგზურს მოიპოვებენ, ხოლო ლიგა 4-ის 13-16 ადგილზე გასული გუნდები რეგიონულ ლიგაში დაქვეითდებიან.

ახალი სეზონიდან ფლეი ოფის მატჩებში სტუმრად გატანილი გოლის წესი გაუქმდა. ასევე, კრისტალბეთ ეროვნულ ლიგაში ლეგიონერების ლიმიტი 10 მოთამაშემდე გაიზარდა.

აღმასკომზე დამტკიცდა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების დებულებაც. ტურნირი სტარტს აპრილში აიღებს. საწყის ეტაპებზე ლიგა 3-ის, ლიგა 4-ის, რეგიონული ლიგის გუნდებთან ერთად, ისტორიაში პირველად, მოყვარულთა ლიგის ჩემპიონი მსკ ბასიანი მიიღებს მონაწილეობას.

ეროვნული ლიგისა და ეროვნული ლიგა 2-ის წარმომადგენლები თასის გათამაშებაში მეთექვსმეტედფინალური ეტაპიდან ჩაერთვებიან, რომელიც 6 და 7 აგვისტოს გაიმართება. მერვედფინალური მატჩები 20 და 21 აგვისტოს შედგება.

კალენდარში გათვალისწინებულია ევროტურნირებზე მოასპარეზე გუნდების ინტერესები. 2 ივლისს ეროვნული ლიგაში საზაფხულო შესვენება გამოცხადდება. ევროტურნირებზე მოასპარეზე გუნდები ბოლო შეხვედრას 29 ივნისს გამართავენ. კრისტალბეთ ეროვნული ლიგა 13 აგვისტოს განახლდება.

უეფას რეკომენდაციით, მინიმალური ცვლილებები შევიდა ლიცენზირების დებულებაში. სკოლების კატეგორიზაციის ფარგლებში დამტკიცდა მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა, რომელიც მუდმივად გაუწევს მონიტორინგს საფეხბურთო სკოლებს.

ფიბა სპორტის სასახლის მშენებლობით კმაყოფილია

საერთაშორისო კალათბურთის ფედერაციის (ფიბა) წარმომადგენელი კიდევ ერთხელ ეწვია საქართველოს. მსოფლიო კალათბურთის

მმართველი ორგანოდან თბილისს FIBA-ს ივენთ მენეჯერი ნატალი სენდმანი ეწვია, რომელმაც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე სოსო ბაღათურიასთან და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ვიქტორ სანიკიძესთან ერთად, უნივერსიტეტის ქუჩაზე მშენებარე მულტიფუნქციურ სპორტულ სასახლეს ესტუმრნენ და მიმდინარე სამშენებლო პროცესს გაეცნენ.

სამუშაოების დათვალიერებისას ფიბა-ს წარმომადგენელმა ნატალი სენდმანმა დადებითი შეფასება მისცა ქართული მხარის მიერ ჩატარებულ სამუშაოებს და იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად, საქართველო მალე მიიღებს ევროპული სტანდარტის სპორტულ სასახლეს.

ნატალი სედმანი:

– შთაბეჭდილების ქვეშ ვარ იმით, რაც გაკეთდა მას შემდეგ, რაც ბოლოს თბილისში ვიმყოფებოდი. იმედი მაქვს, რომ სამუშაოებს აპრილის ბოლოს დაასრულებთ და ოფიციალურ ვიზიტებს გავმართავთ. მჯერა, რომ გამოგვივა და საქართველოში წარმატებულ ევრობასკეტს ჩავატარებთ.

ბოლოს სამშენებლო პროცესში ჩართული ორგანიზაციების მონაწილეობით გაფართოებული შეხვედრა გაიმართა. სენდმანმა დეტალური ინფორმაცია მიიღო სამუშაოების ეტაპების, მისი ვადების, საჭიროებების შესახებ. იმსჯელეს სამშენებლო სამუშაოების შემდგომი ეტაპების გეგმაზეც.

შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიშს კულტურის სამინისტრო ფიბა-ს ხელმძღვანელობას ყოველკვირეულად გადაუგზავნის.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, 10.000 მაყურებელზე გათვლილი მულტიფუნქციური სპორტული სასახლის მასშტაბური სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. სრულად დასრულებულია რკინაბეტონისა და მეტალის კონსტრუქციის სამუშაოები და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოსაპირკეთებელი სამუშაოები, რომელთა ძირითადი ნაწილი დასრულებულია. კომპლექსის მშენებლობის დამთავრება გაზაფხულზე იგეგმება, რის შემდეგაც 1 თვის მანძილზე დანადგარების ტესტირების პროცესი განხორციელდება.

შეგახსენებთ, რომ 1-7 სექტემბერს საქართველო კალათბურთის ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ჯგუფური ეტაპის მასპინძელია. ევრობასკეტი სწორედ ახალაშენებულ სპორტულ კომპლექსში ჩატარდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამართალი

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 12 ობიექტი დააჯარიმა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული 12 ობიექტი დააჯარიმა.

ამის შესახებ ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მისივე ცნობით, სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორები ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ ობიექტებს ამოწმებენ. სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა გურიის რეგიონსა და აჭარაში არსებულ 49 ობიექტში, მათ შორის ვეტერინარულ აფთიაქებში, ვეტერინარულ კლინიკებსა და ზოომაღაზიებში.

„ობიექტების უმეტესობა დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. 12 ობიექტი ვადაგასული პრეპარატების, ეტიკეტირების, შენახვისა და რეალიზაციის წესების დარღვევისთვის, აგრეთვე, ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის არქონის გამო დაჯარიმდა.

სურსათის ეროვნული სააგენტო ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტების შემოწმებას მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე წელსაც აქტიურად აგრძელებს. დაგეგმილია ყველა ობიექტის შემოწმება და ინსპექტირებების რაოდენობის გაზრდა. აღნიშნული კონტროლი ხელს უწყობს უხარისხო და ვადაგასული პრეპარატების ქსელიდან ამოღებას, მოსახლეობისა და ფერმერების ინტერესების დაცვას.

2021 წელს 628 სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა, საიდანაც 144 შემთხვევაში გამოვლინდა შეუსაბამობები, რაზეც სააგენტომ გაატარა კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები“, – აღნიშნულია სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციაში.

ავარია წალენჯიხაში მსხვერპლით დასრულდა

ვ.უბილავა დაიღუპა

ავტოსაგზაო შემთხვევა 22 თებერვალს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალეში მსხვერპლით დასრულდა.

ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში 40 წლამდე კაცის გადარჩენა მედიკოსებმა ვერ შეძლეს. იგი თბილისში მცხოვრები ვ.უბილავაა. ინფორმაციას სოფელ ჭალეს რწმუნებული ავთანდილ მანია ადასტურებს.

მისივე თქმით, მერსედესის მარკის ავტომობილს მსუბუქი მანქანა შეეჯახა.

მეორე მანქანაში სამი მცირეწლოვანი ბავშვი იჯდა. ერთი მოზარდი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

კლინიკის დირექტორ სულხან ორჟონიას თქმით, მოზარდის მდგომარეობა სტაბილურია.

რა გახდა ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი, უცნობია.

40 წლამდე მამაკაცს მეუღლე და 3 შვილი დარჩა.

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მსოფლიო რაგბი ქარი ქაფზე ქართული ფრენჩაიზის თამაშს ეხმაურება



მსოფლიო რაგბი პირველი ქართული პროფესიონალური ფრენჩაიზის, შავი ლომის შექმნას, განსაკუთრებით კი მის სამხრეთ აფრიკის შიდა პირველობაში – „ქარი ქაფში“ ჩართვას ქართული რაგბის წინსვლისათვის უმნიშვნელოვანეს პროექტად მიიჩნევს!

მსოფლიო რაგბის მაღალი მიღწევების დირექტორმა პიტერ ჰორნმა საქართველოს რაგბის კავშირს წერილი გამოუგზავნა, სადაც წერია:

– ეს მნიშვნელოვანი წინსვლაა საქართველოს მაღალი მიღწევების პროგრამისთვის და მსურს მოგილოცოთ ამ მიზნის მიღწევა!

ბაჩო ხურციძე, რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი:

– მსოფლიო რაგბი წლების განმავლობაში მოგვიწოდებდა პროფესიული ფრენჩაიზის შექმნისკენ, რადგან რაგბის განვითარებისთვის, მათი აზრითაც, ეს მნიშვნელოვანია. ეს წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა და ახლა, მოხარული ვარ, რომ საქართველოშიც შეიქმნა ისეთი პროფესიული ფრენჩაიზი, როგორიც თითქმის ყველა წამყვან სარაგბო ქვეყანას ჰყავს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ რაგბი ევროპის სუპერ თასის შემდეგ, მოვიპოვეთ უფლება და ჩვენი ფრენჩაიზი ჩაერთვება მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის, სამხრეთ აფრიკის უძლიერეს შიდა ჩემპიონატში.

„მსოფლიო რაგბიში“ დარწმუნებულნი არიან, რომ „ქარი ქაფში“ თამაში მნიშვნელოვნად აამაღლებს ელიტური მორაგბეებისა და მაღალი მიღწევების პერსონალის კვალიფიკაციას და ეს პროექტი 2023 წლის მსოფლიო თასზე „ბორჯღალოსნების“ თამაშის ხარისხზე დიდ გავლენას იქონიებს.

მსოფლიო რაგბის მხარდაჭერა ამით არ შემოიფარგლება – გაგრძელდება საქართველოს რაგბის კავშირის კონსულტირება მაღალი მიღწევების მიმართულებით. გარდა ამისა, „მსოფლიო რაგბი“ შავ ლომს დაეხმარება თამაშების განრიგის შეჯერებაში, რადგან „ქარი ქაფისა“ და რაგბი ევროპის სუპერთასის ფლეი ოფების თამაშები ერთმანეთს ემთხვევა.

ბაჩო ხურციძე:

– სამწუხაროდ, ტურნირის განრიგებს შორის მოხდა დამთხვევა. ჩვენთან ერთად, სამხრეთაფრიკულ მხარესთან მოლაპარაკებებში მსოფლიო რაგბიცაა ჩართული. გარდა ამისა, რუსეთთან თამაშს დაესწრება „რაგბი ევროპის“ აღმასრულებელი დირექტორი ფლორან მარტი, მასთან ერთად შევაჯერებთ მიმდინარე ტურნირების განრიგს, რათა ორივე მათგანში შეუფერხებლად მივიღოთ მონაწილეობა. სამომავლოდ ამ ტურნირების განრიგი თავიდანვე შეჯერდება, რათა მსგავსი პრობლემები აღარ შეგვექმნას.

ამასობაში, სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა „ქარი ქაფის“ პირველი დივიზიონის კალენდარი დაამტკიცა. ტურნირში 7 ადგილობრივი (ლეოპარდსი, გრიფონსი, ვალკე, ბოლანდ კავალიერსი, ესთერნ პროვანსი, ბორდერ ბულდოგსი, იგლსი) და სამი წვეული გუნდი (შავი ლომი, კენია, ზიმბაბვე) მიიღებს მონაწილეობას.

ტურნირი 1-2 აპრილს დაიწყება, ფინალური შეხვედრა კი 24-25 ივნისს არის ჩანიშნული.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

22 თებერვალი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲣᲔᲤᲐᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘ�გᲐ

ვილიარეალი-იუვენტუსი	1:1
ჩელსი-ლილი	2:0

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲚᲘ�გᲐ

ბრისტოლი-ქოვენთრი	1:2
მიდლსბრო-ვესტ ბრომვიჩი	2:1
პრესტონი-ნოტინგემი	0:0
ჰალი-ბარნსლი	0:2
რედინგი-ბირმინგემი	2:1

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ბ

ალესანდრია-პერუჯა	1:2
კრემონეზე-ვიჩენცა	0:0
პიზა-პარმა	0:0
პორდენონე-მონცა	1:4
სპალი-ტერნანა	5:1

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ

ბაშაქშეჰირი-ქონია	2:1

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ. 1 ᲚᲘ�გᲐ

პარდუბიცე-სლოვაკეკო	0:0

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚ ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲗᲝᲓᲣᲐᲡ „ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ“ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲓᲚᲝᲑᲔᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗᲐᲐ:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝ, ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ 166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ. ᲢᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

იუვენტუსმა და ჩელსიმ მეოთხედფინალისკენ გაინიეს

ᲕᲘᲚᲘᲐᲠᲔᲐᲚᲘ-ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘ 1:1

ვილიარეალი. ესტადიო სერამიკა

0:1 ვლაჰოვიჩი (1), 1:1 პარეხო (66)

ვილიარეალი: რული; ფოიტი, ალბიოლი, პაუ ტორესი, პედრასა (ესტუპინიანი 90); ჩუკვუეზე (პინო 90), კაპო, პარეხო, ა. მორენო (ტრიგეროსი 79); ლო ჩელსო, დანჟუმა (დია 90)

იუვენტუსი: შჩესნი; დანილო, დე ლიხტი, ალექს სანდრო (ბონუჩი 46); კუადრადო, მაკკენი (ზაკარია 81), ლოკატელი (არტური 71), რაბიო, დე შილიო (პელეგრინი 87); ვლაჰოვიჩი, მორატა

ამ წყვილის ფავორიტად იუვენტუსი კი მიიჩნეოდა, მაგრამ ამ კონკრეტულ შეხვედრას სპეციალისტები თანაბრად აფასებდნენ და მათი ჰიპოთეზა გამართლდა.

იუვენტუსმა გამარჯობის თქმა არ აცალა მეტოქეს და წამმზომს ნახევარი წრე ჰქონდა გავლილი, რომ დუშან ვლაჰოვიჩმა ანგარიში გახსნა. ტურინელთა ახალწვეულმა სიღრმიდან მიიღო დანილოს პასი, ალბიოლს იოლად გაექცა და მეკარეს გაუსწორდა.

ვილიარეალს მალევე შეეძლო გათანაბრება, მაგრამ ლო ჩელსომ საგოლე შანსი გაანიავა. ბურთს მეტწილად ესპანელები ფლობდნენ, მაგრამ იუვენტუსი ძალიან კომპაქტურად იცავდა თავს და მეტოქეს ხიფათის შექმნის საშუალებას არ ძლევდა.

თუმცა შესვენების შემდეგ ალეგრის გუნდის დაცვა მაინც ჩავარდა. კაპუმ შესანიშნავი პასით პარეხო მეკარესთან პირისპირ დატოვა, რომელმაც საჭირო გაგრძელება მოუძებნა – 1:1.

ამის შემდეგ ორივე გუნდი აქცენტს უფრო საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე აკეთებდა და თამაშიც მოსაწყენად მიილია,

საპასუხო შეხვედრის წინ იუვენტუსს უფრო მეტი შანსი აქვს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ეტიენ კაპუ

ფრანგმა ფეხბურთელმა კარგი მატჩი ჩაატარა. მოედნის ცენტრში ყველაზე უკეთ გამოიყურებოდა და გუნდს მარტო დაცვითი ფუნქციების შესრულების დროს არ ეხმარებოდა, დროდადრო შემქმნელის ფუნქციებსაც ითავსებდა და ერთი ასეთი გუნდმა გოლად აქცია.

მასიმილიანო ალეგრი:

– გოლი ზუსტად მაშინ გავუშვით, როცა ბურთის კონტროლი შეგვეძლო. შემდეგ მე-2 გოლის გატანას შევეცადეთ, მაგრამ დაღლა დაგვეტყო. მე-2 ტაიმში ძლიერ პრესინგს არ ვახორციელებდით, რამაც ვილიარეალს გოლის გატანაში ხელი შეუწყო. ვლაჰოვიჩმა ძალიან კარგად ითამაშა, ალბიოლის წინააღმდეგ ასპარეზობა ადვილი არაა. ვილიარეალი გამოცდილი გუნდია, ტექნიკურად ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს. გაშვებული გოლის ეპიზოდში შევცდით, მეტოქემ შანსი გამოიყენა. ზოგადად, ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ შეტევისას რამდენიმე შეცდომა დავუშვით, როცა თამაშგარე მდგომარეობაში აღმოვჩნდით.

უნაი ემერი:

– გოლი პირველივე წუთზე გავუშვით, მაგრამ მოვახერხეთ გათანაბრება და მე-2 გოლის გატანასაც შევეცადეთ. მოგება გვინდოდა. ახლა ტურინში წასვლა და გამარჯვება გვჭირდება. მეტოქის მიმართ შიში არ გვქონია. ვაჩვენეთ ჩვენი ოსტატობა. ძალიან რთულია ვლაჰოვიჩის განეიტრალება, მაგრამ მასთან და მორატასთან მიმართებით დიდი საქმე შევასრულეთ. ვლაჰოვიჩმა პირველივე წუთზე გაიტანა და მეტოქე თავიდანვე წინ გავიდა, რის შემდეგ წონასწორობის აღდგენა შევძელით. ჩვენი გუნდის დაცვის ხაზმა ვლაჰოვიჩისა და მორატას წინააღმდეგ ბრწყინვალედ იმოქმედა, საქმე დიდებულად შეასრულა.

ᲩᲔᲚᲡᲘ-ᲚᲘᲚᲘ 2:0

ლონდონი. სტემფორდ ბრიჯი

1:0 ჰავერტცი (8), 2:0 პულიშიჩი (63)

ჩელსი: მენდი; კრისტენსენი, ტიაგო სილვა, რიუდიგერი; ასპილიკუეტა, კანტე, კოვაჩიჩი (ლოფტუს-ჩიკი 60), ალონსო (სარი 80); ზიეში (საულ ნიგესი 60), ჰავერტცი, პულიშიჩი (ვერნერი 80)

ლილი: ჟარდიმი; ჩელიკი, ფონტე, ბოტმანი, ჯალო (გუდმუდსონი 76); ონანა (ილმაზი 65), ქსეკა, ანდრე; რენატო სანჩესი (ბენ არფა 81), დავიდი (ჟეგროვა 81), ბამბა

ჩელსის იოლად არ მოუგია, მაგრამ დამაჯერებლად იმარჯვა და მეოთხედფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

ლონდონელებმა მძლავრად დაიწყეს მატჩი. თომას ტუხელმა სასტარტო შემადგენლობაში რომელუ ლუკაკუს ნაცვლად კაი ჰავერტცი დაყენა და მანაც გაუმართლა: მე-4 წუთზე გერმანელმა ფორვარდმა ახლო მანძილიდან კარს გადააცილა, მე-7 წუთზე მეკარე ჟარდიმმა აუღო, მაგრამ კუთხურს კაის თავური მოჰყვა, რომლის წინაშეც ბრაზილიელი მეკარე უკვე უძლური იყო.

ამის შემდეგ თამაში ჩაწყნარდა. ლილის არაფერი გამოსდიოდა, თავს დიდად არ ჩელსი იკლავდა. თუმცა მეორე ტაიმში კრისტიან პულიშიჩმა კიდევ ერთი გაიტანა და საქმეს უფრო მშვიდი ხასიათი მისცა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კაი ჰავერცი

გერმანელ ფეხბურთელს საწყის 10 წუთში ჰეთ თრიკის გაფორმება შეეძლო, მაგრამ მხოლოდ ერთი გაიტანა, თუმცა – მნიშვნელოვანი, რომელმაც ლონდონელთა თამაში დაალაგა.

ტომას ტუხელი:

– კიდევ ერთი შეხვედრა ჩავატარეთ ისე, რომ გოლი არ გაგვიშვია. ეს დამსახურებული გამარჯვება იყო. წარმოუდგენელია, ასეთ ძლიერ გუნდს მომენტების შექმნის შანსი არ მისცე. რთული თამაში გამოვიდა, სოლიდურები ვიყავით, მოგება დამსახურებულია. მოხარული ვარ კანტეს შესანიშნავი თამაშით. მაქსიმალურად ცდილობდა, რომ გუნდისთვის სარგებელი მოეტანა. როცა კანტე კარგ ფორმაშია, შეგიძლიათ ნახოთ, რამდენად დიდი იმპულსისა და ბიძგის მიმცემია გუნდისთვის. დღევანდელ მატჩშიც ასე იყო.

ჟოსელინ გურვენეკი:

– ჩელსი ყველა თვალსაზრისით ძლიერი გუნდია, მაგრამ სოლიდურად გამოვიყურებოდით. მატჩის ბოლომდე თამაშში დავრჩით, მეტოქეს პრობლემებს მატჩის ბოლომდე ვუქმნიდით. ერთია, გაშვებული გოლების მომენტებში შევცდით. საპასუხო მატჩში წარმატებისთვის ყველაფერს გავიღებთ. ვეცდებით, საშინაო კედლებში ბურთი გავაკონტროლოთ და მოვიგოთ, მაგრამ ჩელსის ფეხბურთელების ტექნიკური შესაძლებლობები ბრწყინვალეა. კანტე ფანტასტიკური ფეხბურთელია. მის წინააღმდეგ თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის რთულია. არ მინდოდა, რომ ჩემს გუნდს შიშით ეთამაშა. მოედანზე ჩემი გუნდის მოთამაშეებს შიში არ ეტყობოდათ. ეს არ იყო ისეთი მარცხი, რის გამოც უნდა მრცხვენოდეს. თამამად და გააზრებულად ვმოქმედებდით.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲯᲘᲮᲝᲡᲯᲝᲮᲘᲚᲘ Ბ



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ამერიკის სტეპებში ბინადარი მგელი; 2. ეტლში შებმული ადამიანი ინდოეთში; 3. მარადმწვანე ხვიარა, მცოცავი მცენარე; 5. ერთ-ერთი პირველი ქართული საბავშვო ჟურნალი; 6. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 7. დანიის, შვედეთის, ნორვეგიის მეფეთა ტიტული; 11. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 13. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 14. საინფორმაციო ბეჭდვით გამოცემათა ერთობლიობა; 15. მომთაბარე არაბი; 16. ქალის როლების შემსრულებელი მამაკაცი მსახიობი იაპონურ თეატრში; 17. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი; 19. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 20. ალასკის ადმინისტრაციული ცენტრი.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. შენობის, ნაგებობის ჩონჩხი; 4. ამერიკელი ზანგების სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 8. ყალბი, არანამდვილი რამე; 9. მუსლიმანური სამლოცველო; 10. ქვევრიდან ღვინის ამოსაღები, აყიროსგან დამზადებული გრძელტარიანი ჭურჭელი; 12. ფრანგი კომიკოსი; 14. ფულის ერთეული ურუგვაიში; 15. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 16. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 18. ღვინის, ვაზის პატივსაცემი რიტუალი ძველად საქართველოში; 21. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 22. ტელეკომპანია „სი-ენ-ენ“-ის მფლობელი; 23. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. ჯანაოზი; 2. კინგსტონი; 3. მაჭახელა; 4. ჩამპინო; 5. ბეკარი; 9. ტავრია; 11. დათვები; 12. ხარაძე; 14. კალიბრი; 18. ალაფი; 19. გიუმი.

თარაზულად: 4. ჩანახი; 5. ბაზილიკა; 7. ამანათი; 8. აგენტი; 10. გაუდა; 13. ზეკარი; 15. ტრავმა; 16. ლავა; 17. რომა; 20. ისრიმი; 21. დემონი; 22. სუფრული; 23. მწუხრი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. თუნუქი; 2. ვისლა; 3. ძოწი; 5. ჯაგერი; 6. სააბი; 7. ბოჰემია; 11. სკივრი; 13. სტაფილო; 14. ყანწი; 15. ვეჯვუდი; 16. პალანგა; 17. კაკადუ; 19. ატომი; 20. არგო.

თარაზულად: 1. თევზაძე; 4. გურჯი; 8. წნორი; 9. გემა; 10. უოლესი; 12. შეიკერი; 14. ყავა; 15. ვალტორნა; 16. პანჩი; 18. ლავრა; 21. კანოე; 22. გრეგორი; 23. მადიარი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0162

ევრო — 3.4249

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1002

100 რუსული რუბლი — 3.7919

ამინდის პროგნოზი 24 თებერვლისათვის



ქალი საკუთარმა გულმავიწყობამ კინაღამ მოგების გარეშე დატოვა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ გრეიამის მკვიდრმა დაკარგა მომგებიანი ლატარიის ბილეთი და ორი თვე ვერ ახერხებდა მის პოვნას, რის გამოც კინაღამ მისი კუთვნილი მოგების გარეშე დარჩა.

32 წლის ანა მაიამ ლატარიის ბილეთი იმ დროს შეიძინა, როდესაც ახალ სახლში გადავიდა და ჯეკპოტი მოხსნა. მისმა მოგებამ 532,3 ათასი დოლარი შეადგინა.

ქალი პანიკამ მას შემდეგ მოიცვა, რაც ახალ სახლში გადასვლის შემდეგ ნივთების დალაგებას შეუდგა და მომგებიან ბილეთს ვერსად მიაგნო.

– ბოლო ორი თვე საშინელი სტრესის ქვეშ ვცხოვრობდი და მთელი ამ დროის განმავლობაში ბილეთის პოვნას ვცდილობდი. საერთოდ არ მახსოვდა, სად შევინახე ის, – განაცხადა ქალმა.

ბოლოს და ბოლოსმ მაიამ ბილეთი ძველი სასკოლო რვეულის ფურცლებს შორის აღმოაჩინა.

– უდიდესი შვება ვიგრძენი, როდესაც ბილეთი ვიპოვე. ის იყო უკანასკნელი ადგილი, სადაც შეიძლებოდა, შემენახა, – აღნიშნა ქალმა.

მაიამ დროულად იპოვა მომგებიანი ბილეთი და მანამდე მოასწრო მოგების მიღება, სანამ ვადა გაუვიდოდა. ის აპირებს, მოგებული თანხით შვებულება მოიწყოს, დაფაროს დავალიანებები, ხოლო ფულის ნაწილს სამომავლოდ გადადებს.

მარტორქამ ბუნების დამცველი აიძულა, თავი ხეზე აძრომით გადაერჩინა

სამხრეთ აფრიკაში გაფთრებულმა შავმა მარტორქამ საფარი-პარკის გიდი აიძულა, საკუთარი თავისთვის ხეზე აძრომით ეშველა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც კეიპტაუნელი 26 წლის ბუნების დამცველი ტომ ფრიუ კოლეგებთან ერთად საფარიზე იმყოფებოდა თეთრი მარტორქების საპოვნელად და მათთვის ნიშნების დასადებად. ერთ მომენტში ჰორიზონტზე შავი მარტორქა გამოჩნდა და პირდაპირ ადამიანების გუნდისკენ გამოქანდა. შედეგად ყველა იქ მყოფმა ხეებს შეაფარა თავი და ასე აიცილეს თავიდან მარტორქის თავდასხმა.

თვითმხილველის მიერ გადაღებულ ვიდეოკადრებში ჩანს, თუ როგორ მიიჭრა გარეული ცხოველი ხესთან და მას დაეტაკა იმისთვის, რომ ფრიუს მისწვდომოდა. შემდეგ მარტორქამ სხვა ხესთან გადაინაცვლა, რომელზეც ფრიუს კოლეგა იმყოფებოდა. მას შემდეგ, რაც ცხოველი ვერავის შესწვდა, გატრიალდა და იქაურობას გაეცალა.

ფიურის განმარტებით, მარტორქის აგრესიულობა იმით იყო გამოწვეული, რომ ახალი გამოსული იყო ძილის მდგომარეობიდან, რომელშიც ის ხელოვნურად აღმოჩნდა ტრანკვილიზატორის მოქმედების შედეგად წამალი კი იმისთვის გაუკეთდა, რომ მოაშორეს რქა, რომელზეც ბრაკონიერები ნადირობენ და ამ ცხოველებს უმოწყალოდ ხოცავენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

24 თებერვლისათვის

ვერძი – სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. ოჯახში ყველაფერი რიგზე გაქვთ. **კურო** – ენერგია მოგიზღვავდებათ. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი და იღბლიანი დღეა. **ტყუპები** – შემოქმედებითი საქმიანობა პოზიტიურ შედეგს გამოიღებს. სიძნელეებს თავს ძალზე იოლად გაართმევთ. **კირჩხიბი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობა კვლავ პრობლემურია. ერიდეთ კონფლიქტს და ცეცხლზე ნავთს ნუ დაასხამთ. **ლომი** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ავტორიტეტს გაუფრთხილდით. იოლად ნურავის მიენდობით. **ქალწული** – დღის დევიზია სიმშვიდე, სულიერი წონასწორობა, გულმოწყალება. აგრესიულ ადამიანებს ერიდეთ. **სასწორი** – ყოველგვარი შეხვედრა სამომავლოდ გადადეთ. მცირე ფიზიკური დატვირთვა ძალას შეგმატებთ. **ღრიანკალი** – ეს დღე ბავშვებს მიუძღვენით. მათი სილაღე და სისპეტაკე გადამდებია. **მშვილდოსანი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. საქმიანი კონტაქტებისათვის სხვა დრო შეარჩიეთ. დღეს დაისვენეთ და გაერთეთ. **თხის რქა** – კოლეგებთან უმნიშვნელო უთანხმოება გაქვთ. თავი შეიკავეთ ემოციების გამოვლენისაგან. **მერწყული** – შიშისა და ეჭვების დათრგუნვა იოლი არ იქნება, თუმცა, თუ გონივრულად მოიქცევით, ყოველგვარ უსიამოვნებას თავს დააღწევთ. **თევზები** – ნუ გადაიღლებით. დაძაბულობას ბუნების წიაღში განმარტოება მოგიხსნით. საღამოს დასაძინებლად ადრე დაწექით.

გისუფთავებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

...

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჯადოსნურ საშუალებას მივაგენი.

– რა ჯადოსნურ საშუალებას?

– ცოლს ვუთხარი, რომ დედამისი გიჟია და ერთი კვირა არ მელაპარაკებოდა.

– მერე?

– მეორე ერთი კვირის თავზე ისევ ვუთხარი, რომ დედამისი გიჟია და კიდევ ერთი კვირა დავისვენებ.

...

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– შენი ქმარი სამსახურში დადის?

– კი, დადის.

– სწორია! არც მე ვაძლევ ჩემ ქმარს გზის ფულს.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე.

– რატომ?

– შენ ხვრინავდი, ძაღლი კი ყეფდა!

– აბა რა გინდოდა, მე მეყეფა და ძაღლს ეხვრინა?!

●●●

ქალიშვილი მამას ურეკავს და ეუბნება:

– მამიკო, მომიტაცეს, სადღაც მივყავარ მანქანით და ვიღაცას უნდა მიმათხოვონ, მიშველე!!!

– რომელი მანქანით მიყავხარ?

– მგონი ბენტლით 2022 წლის.

– შვილო, ბედნიერებას გისურვებ, მეც და დედაშენიც გახარებულები ვართ!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



გიორგი მარშანია და მამუკა მუმლაძე გერმანულ რეკლამაში გადაიღეს

ქართველი მსახიობები გიორგი მარშანია და მამუკა მუმლაძე გერმანულ რეკლამაში გადაიღეს.

სარეკლამო რგოლი კაცობრიობის მიერ განვლილი ბრძოლების ისტორიებს აერთიანებს და მასში მოთხრობილია გამოქვაბულის ადამიანების, რაინდების, ბანკირებისა და აიტი სპეციალისტების მიერ წინააღმდეგობებით განვლილი გზის ისტორია.

ვიდეორგოლი ინტერნეტში უკვე გავრცელდა და მას ათასობით ნახვა და ბევრი მოწონება აქვს.

ანბანთმცოდნეობის ქურუმ რამაზ პატარიძის პორტრეტი ისრაელში გამოიფინება



ანბანთმცოდნეობის ქურუმ რამაზ პატარიძის პორტრეტი მსოფლიოში ერთ-ერთი პრესტიჟული გალერეის ექსპოზიციაზე მოსახვედრ საუკეთესო ნამუშევართა შორის მოხვდა.

პორტრეტი გამოფენის ორგანიზატორებმა მოკლე სიაში დაასახელეს და თებერვალში ათენში გამოიფინება.

თბილისში ახალი თეატრი გაიხსნება

„ქალაქის თეატრი“ – ასე ეწოდება ახალ თეატრს, რომელიც სულ მალე თბილისში გაიხსნება. კოკო როინიშვილი, ანი იმნაძე, თინათინ წულაძე, გიორგი კიკნაძე, ბარბარა ასლამაზი, ნოდარ ძოწენიძე – ეს იმ ხელოვანების არასრული სიაა, რომლებიც „ქალაქის თეატრის“ მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ.

თანამედროვე ქართული კულტურის რეალობას ახალი სახელოვნებო სივრცე შეემატება.

„ქალაქის თეატრი“ არის პლატფორმა, რომელიც დამოუკიდებელ ხელოვანებს თავისუფალ სივრცეში გააერთიანებს.

– ჩვენ უკვე გვიპოვა და მხარი დაგვიჭირა უამრავმა ადამიანმა. ქალაქის თეატრის აშენებაში მონაწილეობის მსურველი მოხალისეებიც გამოჩნდნენ. აქედან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევთ, გავხსნათ კარი ყველა იმ კომპანიისთვის, რომლებსაც სურთ თავიანთი წვლილის შეტანა კულტურის განვითარებაში, – ნათქვამია „ქალაქის თეატრის“ მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

ნინო ხარატიშვილი ახალ რომანს წარადგენს

მწერალი ნინო ხარატიშვილი 29 მარტს მკითხველისთვის ახალ რომანს წარადგენს.

„სინათლის ნაკლებობა“ მწერლის ახალი ნაწარმოებია, რომელსაც ათასობით მკითხველი დიდი ინტერესით ელოდება.

800-გვერდიან რომანში ნინო ხარატიშვილი თავის პერსონაჟებს კვლავ საინტერესო და მრავალფეროვან თავგადასავლებში ამოგზაურებს.

ახალი რომანის წარდგენა თალიას თეატრში შედგება, სადაც „სინათლის ნაკლებობა“ უკვე გახდა რეჟისორების „სამიზნე“ და მსახიობებთან ერთად სპექტაკლზე მუშაობაც დაიგეგმა.

გია ჯაჯანიძე: „მაქვს მიზეზი, რომ ვიყო ბედნიერი“

ტელეწამყვანი გია ჯაჯანიძე აცხადებს, რომ აქვს მიზეზი, იყოს ბედნიერი და უყვარდეს ადამიანები:

– მე მაქვს მიზეზი, რომ ვიყო ბედნიერი.

მე მაქვს მიზეზი, რომ მიყვარდეს ადამიანები, განურჩევლად ერისა, სქესისა, სტატუსისა, მორალისა, მიუღებელობისა და უთანხმოებისა.

მე მაქვს მიზეზი, ყველას ყველაფერი ვაპატიო – პირფერობა, ღალატი, ტყუილი, ღანძღვა, გინება, ბოროტება და კიდევ ბევრი რამ. ამას თამამად ვამბობ, იმიტომ, რომ ეს გამიკეთებია.

ისინი ახლა ამ ტექსტს კითხულობენ და მე მათ ვუყვარვარ.

მძაფრად გავიაზრე, რომ დედამიწაზე მყოფი სულიერისა და უსულოს არსებობა განგებამ დაუშვა და ჩემს პროტესტს არც მნიშვნელობა და არც აზრი არ აქვს.

მე დავიბადე ასეთი, ბედნიერებისა და სიხარულის განცდით.

ამაში დამეთანხმებიან ის ადამიანები, რომლებმაც ცუდი გამიკეთეს, მე მათ სიყვარულით ვუპასუხე და ვაპატიე, გვერდში დაუდექი, როცა გაუჭირდათ.

გავიაზრე და მივიღე, რომ ყველას ვერ ვეყვარები, ყველასათვის მისაღები ვერ ვიქნები. ეს არის ჩემი და მათი ხვედრი.

უკვირთ ჩემს ახლობლებს, რატომ არ მაქვს ჩემს დაბადების დღეზე განსაკუთრებული განცდა.

არ მახსოვს, როდის გავიაზრე სიცოცხლის მძაფრი სიყვარული. მას შემდეგ დავრწმუნდი, ყოველი დღის გათენებისას ვიბადები და ყოველი დღე ჩემთვის განსაკუთრებულია.

მადლობა სიცოცხლისათვის.

მადლობა იმ დამოკიდებულებისთვის, რომელიც ჩემ მიმართ გაგაჩნიათ.

მე ჩემი თავი ამ ქვეყანაზე შევაფასე.

ასე მგონია, როცა იმქვეყნად წავალ, ჩემი ბედნიერებისა და სიყვარულის განცდა შემაფასებს.

მიყვარხართ, მეიმედებით ყველა, მტერიც და მოყვარეც.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 2. რაიმეს დასამტკიცებლად გამოყენებული საბუთი; 3. ექიმის, მკურნალის ლათინური სახელწოდება; 4. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 5. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 9. ჰორიზონტალური სამშენებლო კონსტრუქცია; 11. ნიმუში, ტრაფარეტი; 12. მხატვრულ-დეკორატიული სტილი ევროპულ არქიტექტურაში; 14. თამბაქოს წარმოების ერთ-ერთი ცენტრი თურქეთში; 18. სპორტული სასეირნო ნავი; 19. პოლონეთის პარლამენტი.

თარაზულად: 4. ოპტიკო-კვანტური გენერატორი; 5. შავკანიანთა რასის წარმომადგენელი; 6. უბანი თბილისში; 7. რომან „კუკარაჩას“ პერსონაჟი; 8. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 10. ლიმონის წვენითა და შაქრიანი წყლით შეზავებული ცხელი რომი; 13. ოპერა „სევილიელი დალაქის“ მუსიკის ავტორი; 15. სევდიანი ლირიკული ლექსი; 16. ცხენოსნური თამაში ბურთით; 17. ერთგულების მტკიცე პირობა; 20. პატარა ბაღი; 21. აჭარული ცეკვა; 22. ტრამვაის მძღოლი; 23. რაიმე ნაკეთობის შემცირებული მოდელი; ნიმუში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა